პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 223 (20564) ✦ სამშაბათი, 26 სექტემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლში, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ერთობლივი სხდომით მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა.

დეპუტატები განიხილავენ სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილ 1990 წლისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობის დამთავრება გათვალისწინებულია ნოემბრის ბოლოსათვის.

პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა)

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1989 წლის 20 სექტემბერს

ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში ბოლო დროს განსაკუთრებით გამწვავდა, პარტიას ესმის, რომ ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის ბედისა და ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ასეთი გადაჭრის გზა შეიძლება მოიძებნოს და კიდევაც უნდა მოიძებნოს მხოლოდ საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლების კალაპოტში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამ თვალსაზრისით სსრ კავშირში სოციალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რეფორმის ახლანდელ ეტაპზე მიმდინარე გარდაქმნებს. ამ ამოცანის გადაწყვეტისადმი პრინციპულ მიდგომებს შეიცავს სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუცია „ეროვნებათშორისი ურთიერთობის შესახებ“.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა I ყრილობის მოწყობასთან და შემდგომ ხელისუფლების ახალი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ფორმირებასთან ერთად იქმნება პოლიტიკური მექანიზმი, რომლის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების მომწიფებული საკითხები. ამ საკითხებზე სპეციალურად უნდა იმუშაონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭომ და მისმა კომისიებმა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გარდაქმნის ზოგადი კონცეფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად განსაზღვროს პარტიის თანამედროვე პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, რომელიც სამამულო და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა პირობებს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის თავისუფალი განვითარებისათვის, მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნების მიუხედავად ადამიანთა თანასწორუფლებიანობის ორგანული შეხამების პრინციპებზე.

შემოთავაზებული პლატფორმა პარტიული კომიტეტების, საბჭოთა ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებების, ფართო საზოგადოებრიობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობის, მეცნიერთა აზრებისა და პრესის მასალების ანალიზისა და შეჯერების შედეგია. ეს იმ ახალი იდეების გათვალისწინების შედეგია, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე წამოაყენეს. ეს აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ წერილებში სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების მიერ გამოთქმული აზრების ასახვაც არის.

რა მემკვიდრეობა გვერგო

რომ გავიგოთ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაკეთებულის მასშტაბი და მნიშვნელობა, უნდა გვახსოვდეს, რა მიჯნებიდან იწყებოდა ჩვენი განვითარება. უზარმაზარ სივრცეებზე, და განსაკუთრებით ეროვნულ რაიონებში, სამრეწველო წარმოება ფაქტობრივად არ ყოფილა, ეროვნული, და მით უფრო მსოფლიო კულტურის მთელი ფენები ხელმიუწვდომელი რჩებოდა ხალხთა მასებისათვის. ბევრი ხალხი საზოგადოებრივი განვითარების ფეოდალურ და პატრიარქალურ-გვაროვნულ სტადიაზეც კი იყო. სოციალურ უთანასწორობას აძლიერებდა ეროვნული ჩაგვრა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ეროვნულ საკითხში პარტიის მიერ სოციალისტური პროგრამის განხორციელებას, მისი ღერძი გახდა ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული ეროვნული თვითგამორკვევისა და მშრომელთა ინტერნაციონალური თანამშრომლობის იდეები.

სსრ კავშირის ფორმირება ხდებოდა მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში. გამოვლინდა სხვადასხვაგვარი მიდგომები ქვეყნის მომავალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი. ვ. ი. ლენინის დამსახურება ის არის, რომ მაშინ შესაძლებელი გახდა ისეთ უკიდურესობათა უკუგდება, როგორიც იყო: წინადადება კონფედერაციის შესახებ, ესე იგი ისეთი წყობილების შესახებ, რომელიც არ იძლეოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ძალებისა და შესაძლებლობების გაერთიანების საშუალებას საერთო მიზნების მისაღწევად, და „ავტონომიზაციის“ პროექტი, რომელიც მინიმუმამდე კვეცავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებათა დამოუკიდებლობას, რაც ფაქტობრივად მიზნად ისახავდა უაღრესად ცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფოს შექმნას.

რესპუბლიკების გაერთიანება მიღწეული იყო საბჭოთა ფედერაციის საფუძველზე, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ხალხებს, ერთი მხრივ, განეხორციელებინათ თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლება, ხოლო მეორე მხრივ — გამოეყენებინათ თავიანთი ძალების გაერთიანებიდან, სოციალისტური გზით ერთობლივი განვითარებიდან გამომდინარე უპირატესობანი.

ბევრმა ერმა აღორძინა ან პირველად შექმნა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, სხვადასხვა ფორმის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები. 1922 წლის ხელშეკრულებისა და სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის საფუძველზე საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამ შესაძლებელი გახადა ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულიყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის სოციალისტური გარდაქმნა განაპირა მხარეების ჩამორჩენის ლიკვიდაციაზე, ხალხთა ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონეთა გათანაბრებაზე ორიენტაციის პირობებში. ჩამოყალიბდა მთლიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. თვისებრივად შეიცვალა საბჭოთა ერების სოციალური სტრუქტურა. სულიერ სფეროში იქმნებოდა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობანი. ამავე დროს მიმდინარეობდა როგორც ეკონომიკური მოთხოვნილებებით, ისე მიზნებისა და იდეალების ერთიანობით განპირობებული ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც ობიექტურად იწვევდა ახალი სოციალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ეს წინანდელი შუღლისა და უნდობლობის თანდათანობით დაძლევის, ხალხთა მეგობრობის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. მისი ძალა და სიმტკიცე სრულად გამოვლინდა სამამულო ომში, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი აღდგა თავისი მრავალეროვანი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, ერთად მოიპოვა გამარჯვება ფაშიზმზე.

შემდგომი განვითარების ყველა წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, განუხრელად მიმდინარეობდა ხალხთა ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესი. ქვეყნის ყველა რეგიონში ჩამოყალიბდა მსხვილი საწარმოო ძალები. რესპუბლიკებში გაიზარდა საკუთარი მუშათა კლასი, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედი ინტელიგენცია. კოოპერაციისა და მექანიზაციის საფუძველზე სახე იცვალა სოფელმა. მკვეთრად ამაღლდა ყველა საბჭოთა ხალხის განათლების დონე. ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ათვისების, ახალი ინდუსტრიული, სამეცნიერო და კულტურული ცენტრების შექმნის შედეგად შეიცვალა ქვეყნის ეროვნული რუკა. დღეს არ არის ტერიტორია, სადაც ერთად არ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. სხვაგვარი გახდა დემოგრაფიული სიტუაცია, რომელსაც ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ახასიათებს.

ამ სიღრმისეულ ცვლილებებს მოჰყვა ახალი რეალობანი, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ როგორც თითოეული ეროვნული ერთობის შემდგომი განვითარებისათვის პირობების შექმნის მიზნით, ისე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მიზნითაც. აქედან გამომდინარეობს ეროვნული პოლიტიკის რადიკალური განახლების ობიექტური მოთხოვნილება.

ამასთანავე, ეროვნული განვითარებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებს, რომლებსაც ახლა აწყდება ქვეყანა, ღრმად აქვს გადგმული ფესვები წარსულშიც. უნდა გავერკვეთ ამაში და მტკიცედ გავილაშქროთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც არ შეესაბამება სოციალისტურ იდეალებსა და პრინციპებს.

იმპულსები, რომლებიც პროლეტარულმა რევოლუციამ მიანიჭა ეროვნულ პოლიტიკას, არ შენელებულა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე. მაგრამ მალე, ვ. ი. ლენინის შემდეგ, საზოგადოებრივი განვითარების დეფორმაციებმა დამღუპველი გავლენა მოახდინა ეროვნებათშორის ურთიერთობაზეც.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, რომელსაც უკიდურესად ცენტრალიზებული ერთფეროვანი სტრუქტურები სჭირდებოდა, სულ უფრო მეტად უგულებელყოფდა ეროვნული განვითარების მოთხოვნილებებს. ჭარბობდა უწყებრივი, ბიუროკრატიულ-გასაშუალებული მიდგომა, რომელიც გავლენას ახდენდა ყველაფერზე — საწარმოო ძალების განლაგებით დაწყებული და ენის, განათლებისა და კულტურის პრობლემებით დამთავრებული. საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საბაბით იზღუდებოდა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, ძალას იკრებდა უნიტარიზმის ტენდენცია. თანდათანობით ქრებოდა 1924 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებული კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნა, რომელთა სუვერენიტეტი ბევრ რამეში ფორმალური გახდა.

ეროვნული პრობლემების გამწვავების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იყო მასობრივი რეპრესიები, განსაკუთრებით მთელი ხალხების გადასახლება მათი ტრადიციული ბინადრობის ადგილებიდან სხვა რესპუბლიკებსა და რეგიონებში. ასეთი ხვედრი წილად ხვდათ ყალმუხებს, ყარაჩაელებს, ბალყარელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ყირიმელ თათრებს, მესხეთელ თურქებს, გერმანელებს, კორეელებს, ბერძნებს, ქურთებს. დაუსაბუთებლად დაბრალდათ ნაციონალიზმი და იდევნებოდნენ რესპუბლიკების ბევრი პარტიული და სახელმწიფო მუშაკი, ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლები. პიროვნების კულტის პერიოდში ტრაგიკული დანაკლისი განიცადა უკლებლივ ყველა ხალხმა.

თუმცა XX ყრილობის შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილებანი დაიგმო და გაუქმდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ვერ მოხერხდა დაშვებული უკანონობის შედეგების აღმოფხვრა.

დღევანდელობის მრავალი მწვავე პრობლემა ექსტენსიური ინდუსტრიულ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობებმა, მისი სოციალური და ეკოლოგიური შედეგების უგულებელყოფამ წარმოშვა. ეროვნულ განწყობილებას დიდი ზიანი მიაყენა მმართველობის დარგობრივი პრინციპის გაბატონებამ და ამასთან დაკავშირებულმა უწყებრიობამ, რის შედეგადაც ყოველთვის არ იყო გათვალისწინებული ეროვნული პირობები და ტრადიციები, ეკოლოგიური შედეგები, ტერიტორიათა კომპლექსური განვითარების ინტერესები. თვით რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანოები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ურიგდებოდნენ სამრეწველო პოტენციალის შეუწონასწორებელ განვითარებას.

ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახლანდელი პრობლემები მნიშვნელოვანწილად უკავშირდება რეალური საზოგადოებრივი პროცესების შეუფასებლობას. მთელი მსოფლიოსათვის დამახასიათებელმა ობიექტურმა წინააღმდეგობამ ერთა განვითარებასა და მათს დაახლოებას შორის, დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებასა და ინტეგრაციულ ურთიერთობათა გაღრმავების მოთხოვნილებას შორის ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაშიც იჩინა თავი. მაგრამ იგი ჯეროვნად არ გაანალიზებულა და გათვალისწინებული არ ყოფილა პოლიტიკაში.

ეროვნული თვითშეგნების ზრდა აღვიძებდა ინტერესს საკუთარი ხალხის ისტორიისადმი, მისი კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციებისადმი. მაგრამ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხელს უშლიდა ერთა დაჩქარებული დაახლოების თეორიული მიზანდასახულობანი, მტკიცება, თითქოს სრულად და საბოლოოდ გადაწყვეტილი ყოფილიყოს ეროვნული საკითხი, რაც სინამდვილეში ეროვნული მრავალფეროვნების, სულიერი ცხოვრების თავისებურებების დაკნინებას იწვევდა.

ბოლო ათწლეულებში მიმდინარე დემოგრაფიულმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა მთელ რიგ რეგიონებში არსებითად შეცვალა მკვიდრი და მიგრაციის შედეგად ჩამოსახლებული მოსახლეობის თანაფარდობა, რამაც გამოიწვია შიში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. თანაც მოსახლეობის სწრაფი მექანიკური მატება სოციალური ხასიათის დამატებით სიძნელეებს ქმნიდა, უარყოფით გავლენას ახდენდა მუშათა კლასის ეროვნულ სტრუქტურაზე. სხვა რეგიონებში, სადაც დიდია მოსახლეობის ბუნებრივი მატება, გაჩნდა სამუშაო ადგილების დეფიციტი. ყოველივე ეს აგრეთვე ქმნიდა ეროვნებათშორის დაძაბულობას.

ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების დარღვევათა შედეგად დაზარალდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მათ შორის რუსი ხალხიც. დღეს თვით რუსეთში, რომელიც მთელი ჩვენი კავშირის მაკონსოლიდირებელი საწყისი იყო და არის და რომელმაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ეროვნული განაპირა მხარეების ჩამორჩენილობის დაძლევაში, აგრეთვე მწვავედ დგას მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა, ეკოლოგიის ისტორიული ძეგლების გადარჩენისა და აღდგენის, ეროვნული კულტურის ღირებულებათა დაცვის ამოცანები.

ეროვნული თავისებურებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, გადაუჭრელი სოციალური პრობლემის სიმრავლე მტკივნეულად აისახებოდა ეროვნულ შეგნებაში. წარმოშობდა წყენის გრძნობას, რასაც ხშირად იყენებდნენ ვითარების გასამწვავებლად, მასაზრდოებელ გარემოს უქმნიდა ეროვნულ ექსტრემიზმს. ყოველივე ამან ეროვნულ პრობლემებს ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში აფეთქებასაშიში ხასიათი მიანიჭა, შეიტანა აქ დაგროვილი წინააღმდეგობანი გარდაქმნის დაწყებულ პროცესში.

ახლა საბჭოთა საზოგადოება, რომელიც რადიკალური რეფორმების გზას დაადგა, კრიტიკულად იაზრებს თავის წარსულს. ამოცანა ის არის, რომ ყოველივე ღირსებულის შენარჩუნებით აღმოვფხვრათ უსამართლობანი, ახალი ენერგია შევმატოთ ჩვენი ქვეყნის თითოეული ხალხის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებას, გასაქანი მივცეთ თავისუფალ ეროვნულ განვითარებას, გავზარდოთ, გავამრავლოთ სოციალისტური საზოგადოების ინტერნაციონალური ერთიანობა, განვამტკიცოთ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაცია ახალ საფუძველზე პარტიის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

როგორ გვესახება ამასთან დაკავშირებით ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი?

სოციალიზმი, მის სხვა ძირითად მახასიათებელთა შორის, გულისხმობს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, რომელთაგან თითოეულს უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის, ენის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების რეალური შესაძლებლობა. დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შევქმნათ ქმედითი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული და ინტერნაციონალური ღირებულებებისა და ინტერესების ორგანულ შეხამებას.

ეს ამოცანა განუყოფელია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის გარდაქმნისაგან, იგი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის დამკვიდრების გზით. ამასთან წინა პლანზე დგება ეროვნული პოლიტიკის შემდეგი მიმართულებანი:

— საბჭოთა ფედერაციის სრულყოფა, მისი შევსება რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით;

— ყველა სახეობის ეროვნული ავტონომიის უფლებათა და შესაძლებლობათა გაფართოება;

— თითოეული ხალხის თანასწორ უფლებათა უზრუნველყოფა, ყოველი ეროვნების სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილება;

— ეროვნული ენებისა და კულტურების თავისუფალი განვითარების პირობების შექმნა;

— ეროვნული ნიშნის მიხედვით მოქალაქეთა უფლებების შელახვის გამომრიცხავი გარანტიების განმტკიცება;

— ეროვნული ურთიერთობის სფეროში მთელი იდეურ-პოლიტიკური სამეცნიერო-კვლევითი და აღმზრდელობითი მუშაობის განახლება.

— ეროვნებათა ურთიერთობაში ისტორიული ტრადიციებისა და ეროვნული სპეციფიკის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრება, ყოველი ხალხის ეკონომიკური და სულიერი ინტერესების გათვალისწინება.

როგორ სრულვყოთ და სისხლსავსე გავხადოთ საბჭოთა ფედერაცია

1985 წლის აპრილიდან ჩვენში ხორციელდება ეკონომიკაში, პოლიტიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში რეფორმების პროგრამა. ქვეყნის განვითარების მთელ მიმდინარეობას მივყავართ დასკვნამდე, რომ საჭიროა რადიკალური გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში.

ჩვენი ფედერაციის სიმტკიცის საწინდარია ერთ საკავშირო სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების სრული ნებაყოფლობა, რომელშიც თითოეული რესპუბლიკა ინარჩუნებს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, მონაწილეობს საერთო გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაში. უაღრესად მნიშვნელოვანია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პოზიცია, რომელმაც მხარი დაუჭირა ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის აღდგენას მისი ნამდვილი მნიშვნელობით, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო დემოკრატიული სამართლებრივი გარანტიებით.

უნაყოფოა ცდები ამტკიცებდე, თითქოს სსრ კავშირის ხალხთა თვითგამორკვევა არ მომხდარიყოს, ამოწურავდე მას მხოლოდ გამოყოფით და ამით აღარიბებდე ეროვნული საკითხის გადაჭრის უნივერსალურ პრინციპს. მთელი საბჭოთა და მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ საჭიროა თვითგამორკვევა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც გამოყოფის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული ერთდროული აქტი. ეს ეროვნული ღირსების დამკვიდრების, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების, ენისა და კულტურის განვითარების რთული, მრავალპლანიანი პროცესია.

თანამედროვე პირობებში ეს პრინციპი თავის ოპტიმალურ გამოხატულებას პოულობს თვითმმართველობით, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას, თითოეული ხალხის უფლებას სარგებლობდეს სუვერენიტეტის ყველა სიკეთით, დამოუკიდებლად წყვეტდეს თავისი განვითარების საკითხებს. ამავე დროს თვითმმართველობა გულისხმობს რესპუბლიკებისა და ეროვნული ფორმირებების ნებაყოფლობით გაერთიანებას ყველასათვის საერთო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

თანმიმდევრულად იცავს რა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უპირველეს პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევს იმას, რომ განაახლოს ფედერაცია, შეავსოს იგი ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით და ამის მეშვეობით უზრუნველყოს ყველა საბჭოთა ერის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რათა თითოეულმა მათგანმა მიიღოს თავისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ფართო შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სახალხო-სამეურნეო კომპლექსზე, სამეცნიერო და კულტურულ პოტენციალზე დაყრდნობით, რათა ამ პოლიტიკას მივყავდეთ საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური შეკავშირებისაკენ, სსრ კავშირის განმტკიცებისაკენ.

საბჭოთა ფედერაციას უდიდესი პოტენციალი აქვს, და იგი სრული ძალით უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენი ფედერაციის სტაბილურობისა და წარმატებული განვითარების პირობაა მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის, როგორც მთელის, უფლებათა ოპტიმალური თანაფარდობა. ამასთან დაკავშირებით წინა პლანზე დგება რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომლებიც შეთანხმებულად უნდა გადავწყვიტოთ.

პირველი. მთავარი იდეა, რომელიც საფუძვლად უძევს საბჭოთა ფედერაციას, გამოიხატება საყოველთაოდ აღიარებული ფორმულით: ძლიერი კავშირის გარეშე არ არის ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი.

ამის შესაბამისად ზუსტად უნდა განვსაზღვროთ კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენცია და ურთიერთვალდებულებანი.

კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების საფუძვლების განსაზღვრისა და მისი განვითარებისათვის, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, პიროვნების უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვის, ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანი გამოყენებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის დარგში საერთო ამოცანების კოორდინაციისა და გადაწყვეტისათვის საჭირო საკანონმდებლო უფლებამოსილებანი. კავშირს უნდა ჰქონდეს აგრეთვე უფლებამოსილებანი, რომლებიც საჭიროა ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დინამიკური და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირის უფლებამოსილებათა ნუსხას ამომწურავი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამასთან მიზანშეწონილია ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

— მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნით ყველა უფლება, რომლებიც შეესაბამება მათს, როგორც სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა ფედერაციის წევრთა, სტატუსს. მათ უფლება აქვთ გადაწყვიტონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხი, იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირის გამგებლობაში.

— მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში, ასეთ მონაწილეობას უზრუნველყოფს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობა სსრ კავშირის ორგანოებში, აგრეთვე საერთო-საკავშირო გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების სპეციალური პროცედურების დადგენა.

— სსრ კავშირი გამოსცემს სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლებსა და კანონებს, რომლებსაც თანაბარი ძალა აქვთ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე და რომლებიც კონკრეტდება რესპუბლიკების კანონმდებლობაში.

— თუ საკავშირო კანონი სცილდება კავშირის უფლებამოსილებათა ფარგლებს, რესპუბლიკას უფლება აქვს დასვას მისი გაუქმების საკითხი, ასევე უნდა გაუქმდეს რესპუბლიკური კანონი, რომელიც რესპუბლიკის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, ან სსრ კავშირის კანონს ეწინააღმდეგება.

— მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ გააპროტესტონ და შეაჩერონ საკავშირო მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა მოქმედება თავიანთ ტერიტორიაზე თუ ისინი არღვევენ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციურ უფლებებს.

— ფედერაციული სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში იქმნება იმ უთანხმოებათა გადაწყვეტის მექანიზმები და წესდება, მისი ზუსტი პროცედურები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სსრ კავშირისა და რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შორის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებსა და სხვა სახელმწიფო-ეროვნულ და ეროვნულ-ტერიტორიულ ფორმირებებს შორის. ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტმა, საჭიროების შემთხვევაში კი სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

(დასასრული მე-2 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვისა და მ. ტეტჩერის შეხვედრა

23 სექტემბერს კრემლში მ. ს. გორბაჩოვმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა მოაწყვეს მორიგი შეხვედრა. ეს ფაქტობრივად იყო იმ რეგულარული დიალოგის განგრძობა, რომელიც უკვე თითქმის ხუთი წელია მიმდინარეობს.

თანამოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ ესოდენ განსხვავებული სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი სისტემების წარმომადგენლებს შორის ასეთი პირდაპირი და პატიოსანი, არაფორმალური, გაღრმავებული აზრთა გაზიარების თვით ფაქტი მოასწავებს სრულიად ახალ ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობის გასვლას. ყოველგვარი პერიპეტიები და გამწვავებანი, რომლებიც შეიძლება ორი ქვეყნის ურთიერთობაში წარმოიშვას, უკან იხევს ასეთი დიალოგის პრინციპული მნიშვნელობის წინაშე. იგი განსაკუთრებით საჭიროა, როცა მსოფლიოში ხდება ასეთი კარდინალური ცვლილებანი. სახელმწიფოების, განსაკუთრებით სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა ახლანდელ თაობას უფლება არა აქვს არ გამოიყენოს ცივილიზაციის ისტორიაში მშვიდობიანი პერიოდის ერთობლივი ჩამოყალიბების შანსი.

შეხვდნენ რა ერთმანეთს დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, მ. ს. გორბაჩოვმა და მ. ტეტჩერმა შეძლეს აღენიშნათ საერთაშორისო ატმოსფეროს შემდგომი გაუმჯობესება. ქრება დაძაბულობა, მტკიცდება ნდობა. უფრო თავისუფლად ვსუნთქავთ. მეტი შესაძლებლობანია მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად.

მ. ს. გორბაჩოვმა დააფასა მარგარეტ ტეტჩერის დიდი ინტერესი სსრ კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი, მისი გათვითცნობიერება გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ, თავის მხრივ, მისი მსჯელობა მოწმობს საბჭოთა კავშირში ცვლილებათა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის გაგებას.

მ. ს. გორბაჩოვის მიერ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მიმდინარეობის ანალიზს ახლდა გაცხოველებული დისკუსია მათი რეალიზაციის გზების შესახებ სოციალისტური არჩევანის ფარგლებში, სტალინის პოლიტიკასთან, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემასთან, აზროვნების დოგმატიზმსა და სხვა ხალხების გამოცდილების ჯეროვნად შეუფასებლობასთან დაკავშირებული დეფორმაციების დაძლევის მეშვეობით. ლაპარაკი იყო ცვლილებების ძირითად მიმართულებებზე — დემოკრატიზაციასა და დეცენტრალიზაციაზე, რომლებიც მიგვაღწევინებს მიზანს მხოლოდ ხელისუფლების და მმართველობის ახალი მექანიზმების ინტეგრირებული როლისა და პარტიის ახალი როლის პირობებში. ლაპარაკი იყო ახლანდელი გარდამავალი პერიოდის განსაკუთრებული სირთულეების მიზეზებზეც, საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრის გეგმებსა და მეთოდებზე, რომლებიც ახლა ყველაზე მეტად აღელვებს საბჭოთა ადამიანებს.

გამოეხმაურა რა გარდაქმნის ახლანდელი ეტაპის შეფასებებს, რომლებიც დასავლეთიდანაც მოდის, მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება დაუთმო, კერძოდ იმას, რაოდენ უსაფუძვლოა თეზისი, აქაოდა, რა საჭიროა ერთბაშად ვიმოქმედოთ ამდენ ფრონტზეო. მაგრამ როგორ მოვახდინოთ ეკონომიკის რეფორმა პოლიტიკური სისტემის რეფორმის გარეშე? არაფერი არ გამოვა. ამ საქმეშიც არის უკვე სავალალო გამოცდილება. როგორ მოვახდინოთ ეკონომიკის, პოლიტიკის რეფორმირება საზოგადოების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გარეშე, რომლებიც ადამიანს აბამს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? როგორ დავაპროგნოზოთ და ჩამოვაყალიბოთ ჯანსაღი ეროვნებათაშორისო ურთიერთობა მთელ საზოგადოებაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საერთოდ დემოკრატიულ ცვლილებებს მოწყვეტით? როგორ განვახორციელოთ გარდაქმნა მთლიანად, თუ არ განვაახლეთ პარტია?

მაგრამ ყოველივე ამაში საჭიროა თანამიმდევრულობა, ნაბიჯნაბიჯ წინსვლა, აწონ-დაწონილობა, მიღებული გამოცდილების ათვისება, მეცნიერული დასაბუთება, ახალი აზროვნება და თანხმობა საბჭოთა საზოგადოების შემადგენელ ყველა ფენასა და ხალხებს შორის.

ასეთი დისკუსიის ხასიათი და თვით თემატიკა არის აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრინციპული სიახლის, იმ მისწრაფების გამოვლინება, რომ სწორად გავიგოთ თითოეულის განზრახვა და პოლიტიკა მსოფლიო გაერთიანების საერთო ინტერესებისათვის.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია განიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტაქტებში ახალი მომენტების თაობაზე. საფუძვლიანად განიხილეს ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირების პრობლემები ვენის მოლაპარაკების განახლების წინ. ცხადია, გვერდი არ აუარეს საკითხსაც ევროპაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესახებ.

უთანხმოება კვლავ არის. მაგრამ სადავო საკითხების დაწვრილებითმა და გულახდილმა გარჩევამ ცხადყო, რომ ძალზე სერიოზული შეთანხმებების მიღწევა სავსებით შესაძლებელია თვალსაწიერო პერსპექტივაში.

საერთო-ევროპული პროცესის კონტექსტით მ. ს. გორბაჩოვმა და მ. ტეტჩერმა კვლავ დაადასტურეს, რომ არც სსრ კავშირს, არც დიდ ბრიტანეთს არავითარი განზრახვა არა აქვთ იმოქმედონ ისეთნაირად, რომ ეს ზიანს აყენებდეს ერთმანეთის უშიშროებას, რომ პოლიტიკა, რომელიც უშვებს ამ პრინციპიდან გადახვევას ნებისმიერ სახელმწიფოების ურთიერთობაში, საშიში და არასაიმედოა. მაგრამ ევროპის პროცესი მარტო სამხედრო კონფრონტაციის შემცირებასა და უშიშროების განმაიარაღებელ კომპონენტებზე როდია დამოკიდებული. მისი ბედი უკავშირდება აგრეთვე, არჩევნის თავისუფლების პატივისცემასაც, რომელიც გამორიცხავს, რა საბაბითაც უნდა იყოს სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ხელყოფას.

განიხილეს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი.

(საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი

გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა მთავრობის კომისია ა. ნ. თავხელიძის თავმჯდომარეობით.

გ. ნ. ჯიბლაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 26, 27 სექტემბერს 19 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, № 9). გამოსვენება 28 სექტემბერს, 16 საათზე. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა)

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1989 წლის 20 სექტემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

— ჩვენი ფედერაციის სრულყოფაში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათი კონსტიტუციები, რომლებიც უნდა ასახავდნენ რესპუბლიკათა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა თავისებურებებს, მათს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და არ ეწინააღმდეგებოდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას.

მეორე. თანამედროვე პირობებში თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის ეკონომიკური შინაარსი გამოხატულებას პოულობს სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკების გადასვლით. ამის შესაბამისად:

— მოკავშირე რესპუბლიკები იღებენ კანონებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ ამ საკითხზე კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების ბაზაზე, ამასთან ხელმძღვანელობენ იმით, რომ მიწა, მისი წიაღი, ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსები მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის საკუთრებაა.

— ქონების ფლობისა და განკარგვის საკითხებში უფლებებისა და პასუხისმგებლობის ზუსტი განსაზღვრის მიზნით დადგინდეს სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების კუთვნილება კონკრეტულ სახეობათა საზოგადოებრივი საკუთრებისადმი: საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური (საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების), კომუნალური, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სააქციო საზოგადოებებისა და სხვა სამეურნეო ამხანაგობების საკუთრებისადმი.

— კავშირისა და რესპუბლიკების საკუთრებასთან ერთად შეიძლება არსებობდეს მათს ერთობლივ, საკავშირო-რესპუბლიკურ საკუთრებაში მყოფი საწარმოები, აგრეთვე საკუთრების შერეული ფორმები, მათ შორის უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. ამ ქონების სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის, ამასთან გასხვისების უფლება განისაზღვრება სახელშეკრულებო საფუძველზე. ასეთსავე საფუძველზე უნდა წესრიგდებოდეს ორი ან რამდენიმე რესპუბლიკის კუთვნილი საკუთრების გამოყენებისა და განკარგვის საკითხები.

— მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებსა და ფორმებს რესპუბლიკები თავიანთ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ირჩევენ წარმოების გასაზოგადოების რეალური დონის და საწარმოო ძალების სტრუქტურის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების, მოსახლეობის სრული დასაქმების საჭიროების გათვალისწინებით.

—საერთო-საკავშირო ბაზრის განვითარების ფარგლებში საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური გაცვლის პირობები უნდა განისაზღვრებოდეს სახელშეკრულებო საფუძველზე. რესპუბლიკები დამოუკიდებლად ირჩევენ სამეურნეო ანგარიშის ამა თუ იმ ფორმას. მიზანშეწონილია განვიხილოთ რამდენიმე ასეთი ფორმის დამყარების შესაძლებლობა, რომლებიც შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკების სპეციფიკურ თავისებურებებს და განსხვავდება მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონით. ამ განსხვავებათა შესაბამისად უნდა ყალიბდებოდეს საერთო-საკავშირო ბიუჯეტში ანარიცხებისა და ურთიერთანგარიშსწორების ხასიათი და ფორმები.

— ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სსრ კავშირის მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად განახორციელოს ობიექტური მიზეზების გამო ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის დაძლევის მიზანმიმართული გეზი, აგრეთვე შექმნას საერთო-საკავშირო ფონდი, რათა დახმარება გაეწიოთ სტიქიურ უბედურებებისა თუ ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ რეგიონებს აუთვისებელი ტერიტორიების ათვისებაში.

რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, მათი სახალხო-სამეურნეო პოტენციალის ზრდა, კეთილდღეობის გაუმჯობესება განუყოფელია სპეციალიზაციის, ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების, ერთიანი ბაზრის უპირატესობათა სრული გამოყენების, საერთო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდის პროცესისაგან.

— საკავშირო ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყონ იმას, რომ რესპუბლიკებს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე შეეძლოთ გააერთიანონ ძალები და სახსრები ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის, შექმნან ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის სარესპუბლიკათაშორისო კომისიები.

მესამე. რესპუბლიკის სუვერენიტეტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეობის საკითხი. სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპების თანახმად უნდა ვაღიაროთ, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა, რომელიც ვრცელდება ყველა მის მცხოვრებზე. მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე იმავდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა. დაუშვებელია რაიმე პრივილეგია საბჭოთა მოქალაქეების ერთი ნაწილისათვის და მეორე ნაწილის უფლებების შელახვა, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი მოტივებით ან ცხოვრების დროის, აგრეთვე ადამიანის უფლების სხვა დამრღვევი მოტივებით.

მეოთხე. სსრ კავშირში შესვლით რესპუბლიკებმა ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში გადასცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელება. ამავე დროს მათ უნარჩუნდებათ სუვერენიტეტის ისეთი ხელშეუვალი ნიშანი, როგორიცაა უფლება ჰქონდეთ ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

უკვე უახლოეს ხანში ხორცი უნდა შევასხათ კონსტიტუციურ დებულებას, რომლის თანახმად სსრ კავშირმა უნდა დაადგინოს მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ზოგადი წესი და კოორდინაცია გაუწიოს კერძოდ მათ მიერ თავიანთი დელეგაციებისა და მუდმივი წარმომადგენლების გაგზავნას სახელმწიფოებში, რომლებთანაც აქვთ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. რესპუბლიკების საზღვარგარეთის კავშირ-ურთიერთობანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო-საკავშირო ინტერესებს.

მეხუთე. კავშირად რესპუბლიკების გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქვეყნის უშიშროების, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფა. რესპუბლიკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საკავშირო ორგანოების მიერ ამ ამოცანების გადაწყვეტაში. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ყალიბდება მრავალეროვნულ საფუძველზე; ყველა მოქალაქემ, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, უნდა მოიხადოს სამხედრო სამსახური საერთო-საკავშირო კანონების შესაბამისად. საკავშირო ორგანოებს რესპუბლიკის ხელისუფლებთან შეთანხმებით უმკვიდრდებათ უფლება რესპუბლიკების ტერიტორიაზე თავდაცვითი ობიექტების (აეროდრომების; სასწავლო ცენტრების, პოლიგონებისა და ა. შ.) ორგანიზაციისა და მათი გამოყენების უფლება.

მეექვსე. საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნასთან დაკავშირებით ახლებურად დგება იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსისა და საქმიანობის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სსრ კავშირის პოლიტიკურ სისტემაში.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის პირობებში რესპუბლიკებისა და კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობის ფორმების არჩევის უფლება ეკუთვნით თვით ამ ორგანიზაციებს.

უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტას პარტიის მიმართ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმოიშვა როგორც თანამოაზრეთა ორგანიზაცია, მუშათა კლასის, მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლების გაერთიანება მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. თავის ინტერნაციონალურ ხასიათს პარტია უნდა უმადლოდეს სწორედ იმას, რომ მან შეძლო გამხდარიყო სოციალისტური გზით საზოგადოების განვითარების მაკონსოლიდირებელი ხელმძღვანელი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ უარყოფს ყოველგვარ ეროვნულ შეზღუდულობას, კუთხურობას, კორპორაციულობას, უწყებრიობას. იგი არის და დარჩება შემადგენლობით ინტერნაციონალური, იდეურად და ორგანიზაციულად ერთიანი, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე აგებული, საერთო პროგრამითა და წესდებით. პრინციპულად მიუღებელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშენებლობაში ფედერალიზმის იდეები. კომუნისტებს თავიანთ მოვალეობად ის უნდა მიაჩნდეთ, რომ არ დაუშვან რაიმე გამიჯვნა ეროვნულ ნიადაგზე არც პარტიულ რიგებში, არც შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ებრძოლონ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებს, უწინარეს ყოვლისა თავის ეროვნულ გარემოში. ნაციონალისტური და შოვინისტური შეხედულებანი და მსჯელობა შეუთავსებელია სკკპ წევრობასთან.

ამავე დროს ჩვენი ფედერაციის შევსება რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით გულისხმობს ახალ მიდგომას პარტიული მშენებლობისადმი. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა არსებული სტრუქტურის ფარგლებში საქმე ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ განმტკიცდეს მათი დამოუკიდებლობა. ამას ხელს შეუწყობს მათთვის იმ უფლების მინიჭება, რომ თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ პარტიული ცხოვრების ძირითადი საკითხები — ორგანიზაციულ-სტრუქტურული, საკადრო, ფინანსური და სხვა საკითხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების ფარგლებში მიიღონ თავიანთი პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სპეციფიკურ ეროვნულ მოთხოვნილებებსა და კომუნისტთა საქმიანობის პირობებს.

ეროვნული ფაქტორის გათვალისწინება, ეროვნული და ინტერნაციონალური ღირებულებებისა და ინტერესების ორგანული შეხამება მთელი პარტიული მუშაობის განუყოფელი ელემენტი უნდა გახდეს. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნული პოლიტიკის საკითხთა კომისია. ანალოგიური კომისიები შეიძლება შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში, საჭიროების შემთხვევაში კი პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებში.

მეშვიდე. საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ფარგლებში უნდა გადაიჭრას რუსეთის სფსრ სახელმწიფო სამართლებრივი სტატუსის პრობლემები.

აქამდე ამ რესპუბლიკაში მთელი რიგი სამმართველო ფუნქციები ეკისრებოდათ საერთო-საკავშირო ორგანოებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს თვით რესპუბლიკის, კავშირის ინტერესებზეც, ხშირად იწვევს ამოცანების აღრევას, მომწიფებული პრობლემების გადაჭრის გაჭიანურებას.

მიზანშეწონილია განვიხილოთ საკითხი, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში შეიქმნას რესპუბლიკური მმართველობის დამატებითი ორგანოები, მათ შორის ადმინისტრაციული, ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული, სამეცნიერო და სხვანი.

რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანოების შექმნასთან ერთად უნდა განვიხილოთ რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიული ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის შესაძლებლობა სკკპ რუსეთის კონფერენციების რეგულარული მოწყობის გზით, რომლებიც გადაწყვეტდნენ რესპუბლიკის კომუნისტთა საქმიანობის ძირეულ საკითხებს, აგრეთვე რუსეთის სფსრ პარტიული ორგანიზაციების უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურაში (ცენტრალური კომიტეტის ბიუროს (სამდივნოს) შექმნის გზით. ასეთ გზას შეიძლებოდა დასდგომოდნენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

რუსეთის სფსრ ყველაზე მრავალეროვანი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელშიც შედის 31 ავტონომიური ფორმირება. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია წინადადება, რომ შეიქმნას რუსეთის სფსრ ორპალატიანი უმაღლესი საბჭო რესპუბლიკის მოსახლე ხალხების უფრო სრული წარმომადგენლობისა და ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

ტერიტორიის ოდენობა, წარმოების მოცულობა, მოსახლეობის რაოდენობა და სხვა ფაქტორები პერსპექტივაში განსაზღვრავენ იმის მიზანშეწონილობას, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში გადავიდეთ მსხვილი რეგიონების მართვაზე, შევქმნათ აქ შესაბამისი ორგანოები.

მერვე. რა გზით შეიძლება განხორციელდეს გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში?

ამჟამად ისმება საკითხი შევიმუშაოთ და ხელი მოვაწეროთ ახალ საკავშირო ხელშეკრულებას ნაცვლად სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის ხელშეკრულებისა, აგრეთვე მოვამზადოთ ახალი დეკლარაცია სსრ კავშირის შესახებ.

რაც შეეხება ახალ ხელშეკრულებას, თვით საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელშეკრულებო დოკუმენტს; რადგან იქ ფიქსირებულია კავშირისა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების ძირითადი უფლებები და ურთიერთვალდებულებანი. როგორც ცნობილია, 1922 წლის ხელშეკრულება ღიაა და დღემდე ინარჩუნებს თავის იურიდიულ ძალას.

ფუძემდებელი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავამკვიდროთ საბჭოთა ფედერალიზმის განახლების ღონისძიებანი და გადავწყვიტოთ წამოჭრილი საკითხები, შეიძლება გახდეს ახალი დეკლარაცია როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის ორგანული ნაწილი.

ავამაღლოთ ეროვნული ავტონომიის როლი და სამართლებრივი სტატუსი

საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ორგანული ნაწილი და ამავე დროს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დამოუკიდებელი საკითხია ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და ოკრუგებში მცხოვრებ ხალხთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების სრული მოცულობით აღდგენა.

ერთა თვითგამორკვევის ფორმაში არსებულმა განსხვავებებმა ასახა ის ცხოვრებისეული რეალობა, რომ კავშირის ჩამოყალიბების პერიოდში ხალხები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იყვნენ, არსებითად განსხვავდებოდნენ რიცხვით, ყველას არ გაუვლია ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, წარსულში ჰქონდათ ან მზად იყვნენ შეექმნათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

ახლა ეს განსხვავებანი ბევრ რამეში დაძლეულია. მაგრამ ავტონომიურ ფორმირებებს ჯერჯერობით არა აქვთ საკმარისი და რეალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ სრულად განახორციელონ ეროვნული მოთხოვნილებანი, განიცდიან უწყებრივ ზეგავლენას და საკავშირო, რესპუბლიკური, აგრეთვე სამხარეო და საოლქო ხელისუფალთა წვრილმან მეურვეობას.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია:

— დავაჩქაროთ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების შესახებ კონსტიტუციური და სხვა საკანონმდებლო აქტების განახლება.

— ავტონომიური რესპუბლიკების, როგორც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოების, სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით საჭიროა არსებითად გავაფართოოთ მათი კომპეტენცია. მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ წყვეტდნენ თავიანთ ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ბუნების დაცვის, ეროვნული კულტურისა და ენის განვითარების, ისტორიული ძეგლების დაცვის ყველა საკითხს.

— განვამტკიცოთ ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანის, მათი ბიუჯეტის ფორმირებაში საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა მონაწილეობის ფორმების განსაზღვრის გზით.

— მივანიჭოთ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს უფლება გააპროტესტონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობის ორგანოების აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დამკვიდრებულ სსრ კავშირის თუ მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას.

— ავამაღლოთ ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სამართლებრივი სტატუსი, ამასთან მივანიჭოთ მათ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, აგრეთვე უფლება ჰქონდეთ წარმომადგენლობა არა მარტო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებშიც, შესაბამისი მხარეებისა და ოლქების სახალხო დეპუტატთა საბჭოებშიც.

დავაწესოთ, რომ ავტონომიური ოკრუგის ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ მიმართონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე შემოვიღოთ წესი, რომ სახალხო დეპუტატთა საოკრუგო საბჭოს გადაწყვეტილებანი შეიძლება გააუქმოს მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ. გავითვალისწინოთ, რომ ავტონომიური ოლქის ან ოკრუგის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.

— განვიხილოთ იმ შესაძლებლობისა და წესის საკითხი, რომ გადავიდნენ რუსეთის სფსრ ავტონომიური ოლქები, თუ ასეთი იქნება მათი მოსახლეობის ნება, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უშუალო დაქვემდებარებაში.

— მუდამ ვითვალისწინებდეთ ურთიერთობას არა მარტო კავშირის შიგნით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებებს შორის, არამედ რესპუბლიკებსა და რეგიონებში ერებს, ეროვნებებსა და ეროვნულ ჯგუფებს შორისაც.

— უზრუნველვყოთ ყველა უფლება და პირობები იმ მოქალაქეთა ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის, კულტურისა და ენის განვითარებისათვის, რომლებიც თავიანთ ეროვნულ-ტერიტორიულ ფორმირებათა ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ ან არა აქვთ ასეთი სსრ კავშირში, მათი წარმომადგენლობა ხელისუფლების ორგანოებში. უკვე შექმნილი გამოცდილების ნიადაგზე განვავრცოთ ეროვნული კულტურული ცენტრების, საზოგადოებებისა და სათვისტომოების შექმნის პრაქტიკა. მათ შეუძლიათ იმუშაონ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, ჰყავდეთ იქ თავიანთი წარმომადგენლები.

— რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების თანხმობით შეიძლება შეიქმნას ეროვნული რაიონები, სასოფლო და სადაბო საბჭოები იმ ეროვნებათა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებანი. კანონმდებლობით დავამკვიდროთ ასეთი ეროვნული ჯგუფებისა და თემების თვითმმართველობის უფლება.

გავითვალისწინოთ იმ ხალხების მოქალაქეთა წარმომადგენლობისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანოების შექმნის შესაძლებლობა, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტერიტორიული ავტონომია.

— ეროვნულ უმცირესობათა კონტაქტების განვითარებისათვის სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებთან, რომლებთანაც საერთო ეთნიკური წარმომავლობა ან კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებთ გავითვალისწინოთ კანონმდებლობაში ეროვნული კულტურული ცენტრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლება — როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მეშვეობით, ისე უშუალოდ კულტურული ურთიერთობა ჰქონდეთ ამ სახელმწიფოთა ანალოგიურ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იზიარებს საზოგადოებრიობის წუხილს ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მცირერიცხოვანი ხალხების მდგომარეობის გამო. იმ ტერიტორიათა სამრეწველო ათვისება, სადაც ისინი სახლობენ, წარმოებს მათი ცხოვრების ყაიდის, სოციალური და ეკოლოგიური შედეგების ჯეროვანი გათვალისწინების გარეშე. ამ ხალხებს სპეციალური სახელმწიფო დაცვა და დახმარება სჭირდებათ.

საჭიროა ამ ტერიტორიათა სახალხო დეპუტატების საბჭოებს მიენიჭოთ მათი სამეურნეო ათვისების, ესე იგი სალეწი სავარგულების, საძოვრების, შიდა წყალსატევების, სანაპირო წყლების აკვატორიის, ტყეების, ხალხთა ბინადრობის ადგილების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით ნაკრძალი ზონების შექმნის გამონაკლისი უფლება. უახლოეს ხანში მოვიწვიოთ ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი ხალხების წარმომადგენელთა ყრილობა და შევქმნათ ასოციაცია, რომელიც მათი ინტერესების წარმომადგენელი იქნება მმართველობის ყველა დონეზე.

ასეთივე სათუთი დამოკიდებულება და ზრუნვა სჭირდება ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა მცირერიცხოვან ხალხსაც.

ეროვნული კულტურებისა და ენების შესახებ

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე სტადიის შესაბამის თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიყვანოთ პოლიტიკა კულტურის დარგში, სადაც ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტების შეხამება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ აღიარებულია ეროვნული კულტურების თავისთავადობა, მათი უნიკალური ღირებულება. ასეთი თავისთავადობის შენარჩუნებას უნდა უზრუნველყოფდეს სამართლებრივი ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციასა და უპატივცემულობას.

პარტია მტკიცედ გმობს ეროვნული კულტურების შელახვის ყოველგვარ ფორმებსა და თავის ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს სსრ კავშირის ყველა ხალხის სულიერი ცხოვრების თავისუფალი განვითარება. ამ განვითარების ფორმებს სუვერენულად განსაზღვრავს თითოეული მათგანი რეგლამენტაციებისა და შეზღუდვების გარეშე. დემოკრატიულად ასევე უნდა შეიქმნას პირობები მთელი ქვეყნის მასშტაბით კულტურათა თანამოქმედების ინტერნაციონალისტური პროცესების განვითარებისათვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების, მთელი კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

სსრ კავშირში ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკის საკითხები, მისი ძირითადი პრინციპები იყო და არის ყველა ენის თავისუფალი განვითარება და თანასწორუფლებიანობა, სწავლების ენის ნებაყოფლობითი არჩევა. ამასთან ერთად საჭირო ხდება ყველა ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება.

იმ ეროვნების ენის სახელმწიფო ენად აღიარების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელმაც სახელწოდება მისცა მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკას, თვით რესპუბლიკის კომპეტენციაა. სახელმწიფო ენის სტატუსი არ უნდა იწვევდეს ენობრივ დისკრიმინაციას, იგი ნიშნავს მისი საზოგადოებრივი და კულტურული ფუნქციების გაფართოებას, ამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, საკადრო, პედაგოგიური ან სხვა საკითხების გადაწყვეტას, სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივი ენის შესწავლაში მათს წახალისებასა და დახმარებას.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა ჩვენს ქვეყანაში რუსული ენა გახდა. ამიტომ ყოვლმხრივ მიზანშეწონილია შევქმნათ ეროვნულ-რუსული და რუსულ-ეროვნული ენობრივი ურთიერთობის განვითარების ხელშემწყობი პირობები. ყველა საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებლურად დამკვიდრებულიყო რუსული ენა როგორც საერთო-სახელმწიფო ენა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყენება და ფუნქციონირებს თანასწორუფლებიან საფუძველზე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებთან ერთად.

საჭიროა უზრუნველვყოთ აგრეთვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზრუნვა მცირერიცხოვან ხალხთა ენების, როგორც ყველაზე ფაქიზი განძის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ყველა ეს საკითხი შეიძლებოდა ასახულიყო სსრ კავშირის სპეციალურ კანონში სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გამოყენების შესახებ, რომელიც შეიძლებოდა მიგვეღო საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ.

ეროვნული საკითხი და მოქალაქეთა უფლებები

საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისა და ამასთანავე სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რასობრივი და რელიგიური ეროვნული კუთვნილების მიუხედავად მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპის სრული და თანამიმდევრული განხორციელება.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანთა უფლებების შელახვის ყოველგვარი ცდა უნდა ჩაითვალოს მიუღებლად, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის პრინციპების საწინააღმდეგოდ.

საბჭოთა მოქალაქენი შინაგანად უნდა გრძნობდნენ თავს ქვეყნის ყოველ კუთხეში — ასეთია, შეიძლება ითქვას, მთელი იმ მუშაობის უმაღლესი და საბოლოო მიზანი, რომელიც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციისათვის მიმდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია, კერძოდ:

— მიღებულ იქნეს კანონი თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასეთი წარმონაქმნების არმქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების გარანტიების შესახებ. ვიქონიოთ ანალოგიური კანონები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

— უზრუნველვყოთ სკოლაში დედაენაზე სწავლების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი გამოყენების, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების, ბინადრობის გარემოს დაცვის უფლება.

— უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანის ეროვნული პატივისა და ღირსების სასამართლო-სამართლებრივი დაცვა. ჩვენს სამართლებრივ არსენალში უნდა დამკვიდრდეს მოვალეობა ანაზღაურებულ იქნეს მორალური და მატერიალური ზიანი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფისა და ეროვნული სიამაყის შელახვისათვის, ხოლო მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული შუღლის გაღვივებას, — თავიდან უნდა იქნეს აცილებული და აღიკვეთოს საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით.

განისაზღვროს კანონით პირობები, რომელთა დროს უნდა დაიშალოს და აიკრძალოს ნაციონალისტური ან შოვინისტური ორგანიზაციები და ჯგუფები.

— კონფლიქტები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოიშვა, ეროვნებათაშორის საფუძველზე, მოითხოვს განსაკუთრებით ყურადღებიან მიდგომას და ტაქტს, უნდა წყდებოდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივ დემოკრატიულ საფუძველზე, საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით.

ამ პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ მთიანი ყარაბაღის გარშემო წარმოშობილ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას.

— მიღებულ იქნეს ყველა ღონისძიება ყირიმელი თათრების, საბჭოთა გერმანელების, ბერძნების, ქურთების, კორეელების, მესხეთელი თურქებისა და სხვათა პრობლემების გადასაჭრელად.

ამგვარი საკითხები უნდა წყდებოდეს კონკრეტულ სიტუაციაში ჩარეული ყველა ხალხის ინტერესების, არსებული რეალობების, ადამიანთა სიცოცხლისათვის მოსალოდნელი შედეგების სავალდებულო გათვალისწინებით.

— მთელ რიგ რესპუბლიკებსა და რეგიონებში მომხდარი ამბები მთელი სიგრძე-სიგანით აყენებენ ადამიანთა უსაფრთხოების, მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის, სიმშვიდისა და თავიანთი მომავლის რწმენის შენარჩუნების გარანტიათა საკითხს.

— საჭიროა საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფს იმ ხალხთა სრულ პოლიტიკურ რეაბილიტაციას, რეპრესიები და მასობრივი დეპორტაციები რომ განიცადეს, და შექმნის საამისო გარანტიას, რომ მსგავსი რამ არასოდეს აღარ განმეორდება. ეს უნდა გაკეთდეს ისტორიული სიმართლისა და სამართლიანობის გულისათვის, ჩვენი ზნეობრივი იდეალების გულისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური რეაბილიტაციის კომისიამ საგანგებოდ განიხილოს ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ ბრალდებებთან დაკავშირებული საკითხები, მისცეს მათ შეფასება, აღუდგინოს სახელი იმ პარტიულ და საბჭოთა მოღვაწეებს, რომლებსაც ამ მიზეზით პოლიტიკურად სახელი გაუტეხეს და დასაჯეს.

საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური გარანტიებისა და უფლებების დაცვით უნდა წარმოებდეს საკადრო პოლიტიკა. საჭიროა ვესწრაფოდეთ ხელისუფლების, მმართველობის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობაში ქვეყნისა და ყოველი რესპუბლიკის მოსახლე ხალხთა წარმომადგენლობას; რა თქმა უნდა, ადამიანთა საქმიანი და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით, გავაფართოოთ მათი მონაწილეობა საერთო-საკავშირო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატთა დასახელებისა და არჩევის ალტერნატიულ სისტემაზე მიმდინარე გადასვლას შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების რესპუბლიკურ ორგანოებში ამა თუ იმ ხალხთა წარმომადგენლობის დაკარგვა ან შეზღუდვა, უნდა მოვიფიქროთ და შევქმნათ სპეციალური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოვლენების კომპენსაციას. ასეთი მექანიზმი შეიძლება გახდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში მეორე პალატის ანდა რესპუბლიკებში მცხოვრები ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთა საბჭოების შექმნა ამ რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან, ამასთან მათ უნდა მიენიჭოთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

სკკპ XIX კონფერენციის რეზოლუცია „ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შესახებ“ რეკომენდაციას გვაძლევს განვიხილოთ საკითხი, რომ შეიქმნას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოსთან და მის კომისიებთან ერთად, ეროვნებებისა და ეროვნული ურთიერთობის საკითხთა სახელმწიფო ორგანო. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გვქონდეს სპეციალური ქვედანაყოფი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში.

ეროვნული საკითხის იდეურ-თეორიული ასპექტის შესახებ

აღნიშნავს რა საბჭოთა ფედერაციის განვითარების, ეროვნული ავტონომიის როლის გაძლიერების, ქვეყნის მოსახლე ყველა ხალხის საარსებო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის პრინციპულ მნიშვნელობას, პარტია საჭიროდ მიიჩნევს მკვეთრად გამოაცოცხლოს იდეურ-თეორიული მუშაობა ამ დარგში.

ოქტომბრით შობილი ხალხთა მეგობრობა, რომელმაც გაუძლო სამამულო ომის გამოცდას, მრავალი თაობის საბჭოთა ადამიანებისათვის იყო მათი ღვიძლი საქმე, და ეს გახდა ქვეყანაში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ნორმალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. არ უნდა დავუშვათ, რომ ეროვნებათაშორისი შუღლის თესლი, რომელიც ამ ბოლო დროს ჩაიყარა საზოგადოებრივ გარემოში, მომავალში აღმოცენდეს და სიცოცხლე გაუმწაროს ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. ახალგაზრდა თაობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების, შრომითი კოლექტივების, კომკავშირის, ოჯახისა და სკოლის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს ინტერნაციონალისტური ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის მუშაობის თვით მეთოდები და შინაარსი. უკვე აღარ ჭრის მაღალფარდოვანი ფრაზები ერთიანობის შესახებ, ფრაზები, რომლებიც მოწყვეტილია რეალობას, არ არის განმტკიცებული ლექციის, საუბრის, პრესის გამოსვლის დამაჯერებელი არგუმენტებით. და აქ საჭიროა ახლებური პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ვერ იგუებს მედავითნეობას. იმით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რომ ინტერნაციონალიზმი — ეს არის არა ეროვნულის უფლების უარყოფა, არამედ პირიქით — ეს არის ხალხთა ეროვნული ინტერესებისადმი მზარდი ყურადღება და იმავდროულად საკაცობრიო ღირებულებათა დაცვა, ინტეგრაციის ტენდენციების გათვალისწინება, რომლებიც სულ უფრო ძლიერდება მთელ მსოფლიოში. მთავარია, ინტერნაციონალიზმს აღვიქვამდეთ როგორც გაცნობიერებულ საკუთარ მოთხოვნილებას, და არა რაღაც თავს მოხვეულს სხვის მიერ, გარედან.

ინტერნაციონალიზმის მაღალი ჰუმანისტური არსი ის არის, რომ იგი ვერ ჰგუობს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. როგორც ბოლოდროინდელმა ამბებმა გვიჩვენა, საზოგადოებაში არიან ნაციონალისტური, შოვინისტური და ექსტრემისტული ელემენტები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სიძნელეებით, განზრახ ამწვავებენ სიტუაციას ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში, აღვივებენ ეროვნებათაშორის კონფლიქტებს, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, ლტოლვილთა გაჩენა, მოგვიტანა დიდი მატერიალური ზარალი და შეიძლება განუჭვრეტელი შედეგებიც მოჰყვეს. თავი წამოჰყვეს უპასუხისმგებლო პოლიტიკანებმა, თავისებურმა ნაციონალ-კარიერისტებმა, რომლებიც განახლების იდეებითა და ლოზუნგებით სარგებლობენ და ვიწროჯგუფობრივ ინტერესებს საერთო-ეროვნულ ინტერესებად ასაღებენ.

ასეთ მოქმედებას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ. არ შეიძლება თავისუფლება ანარქიითა და ძალმომრეობით შეიცვალოს. ჩვენი ხალხების გამაერთიანებელ ღირებულებათა დაკარგვა კატასტროფა იქნება. არ უნდა დავუშვათ წაყრუება არც იმათ მიმართ, ვინც დანაშაულებრივ გზას დაადგა, და არც იმათ მიმართ, ვინც ხელს უწყობს ამას.

უნდა გავავლოთ მკაფიო გამმიჯნავი ხაზი ეროვნული თვითშეგნების ზრდასა და ნაციონალიზმს შორის. როდესაც ვილაშქრებთ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, უნდა გამოვიჩინოთ გულისხმიერება და ყურადღება ეროვნული ხასიათის ყველა კანონიერი მოთხოვნისა და მისწრაფებებისადმი.

ახლებურად გასააზრებელია რელიგიის როლი და ადგილი ეროვნებათაშორის ურთიერთობაში, მისი გავლენა ეროვნულ თვითშეგნებაზე. დაუშვებელია ადამიანთა დაპირისპირება, მით უმეტეს ეროვნული შუღლის გაღვივება რელიგიურ საფუძველზე.

ჩვენ გვჭირდება, უწინარეს ყოვლისა, დაუმახინჯებელი, სრული სიმართლე სსრ კავშირში ეროვნებათაშორის ურთიერთობათა განვითარების რეალური პროცესების შესახებ, იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მწვავე კოლიზიები ეროვნებათაშორის საქმეებში. აქ არ უნდა დაგვრჩეს „თეთრი ლაქები“. ყოველივე ეს აუცილებელია ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც წამოიჭრება დავა და ეჭვები, ძალ-ღონე არ დავიშუროთ იმისათვის, რომ კოლექტიურ საფუძველზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, აქედან მომდინარეობს კომუნისტთა მზარდი პასუხისმგებლობა, რომლებიც რადიოსა და ტელევიზიაში, ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში მუშაობენ. მხოლოდ ყოველი ხალხის ეროვნული გრძნობების ღრმა პატივისცემა და ამავე დროს უაღრესი პრინციპულობა და ალალმართლობა მიმდინარე ამბების შეფასებაში შეუწყობს ხელს აფორიაქებული განწყობილების დაცხრობას, წამოჭრილ წინააღმდეგობათა დაძლევას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა მოითხოვს ახალ მიდგომას ჩვენს ქვეყანაში ერთა და ეროვნებათა ურთიერთობათა განვითარების ობიექტური პროცესების კომპლექსური თეორიული და ეთნოსოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციისადმი, დოგმატიზმისა და სტერეოტიპებისაგან თეორიისა და პრაქტიკის განთავისუფლებას, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მსოფლიო გამოცდილების გამოყენებას, მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციათა გამომუშავებას. ამისათვის საჭიროა გავაფართოოთ სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო ბაზა, განვიხილოთ ერთაშორისი ურთიერთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნისა და ასეთი ხასიათის სხვა აუცილებელი ღონისძიებათა საკითხი.

როგორც მსოფლიო, ისე ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ ეროვნულ საკითხს ყოველთვის აქვს კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი. არც არის და ვერც იქნება ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის მისი გადაწყვეტის მზამზარეული რეცეპტები, თანაბრად რომ გამოდგებოდეს სოციალისტური განვითარების ყველა ეტაპზე, ქვეყნის ყველა რეგიონისთვის. ეროვნული პოლიტიკა — ეს არის მუდმივი შემოქმედებითი იმის უნარი, რომ დროულად გამოვეხმაუროთ ეროვნებათაშორისო ურთიერთობათა სფეროში წამოჭრილ პრობლემებს, მივაგნოთ კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის ეფექტიან მექანიზმებს, გავითვალისწინოთ ცხოვრებისეული პროცესების რეალური დიალექტიკა.

• • •

ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინადადებები სსრ კავშირში ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა სრულყოფის, ეროვნული პოლიტიკის განახლების საკითხებზე. მათი განხილვა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ამ პოლიტიკურ საფუძველზე საჭირო საკანონმდებლო აქტების მიღება ახალ თვისებას მიანიჭებს საბჭოთა ფედერაციულ სახელმწიფოს, უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ხალხის თავისუფალი განვითარების, მათი მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის განმტკიცების პირობებს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲖᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

(გაგრძელება)

ჯერჯერობით კი მნიშვნელოვანი განსხვავებაა საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქებსა და სხვა ეროვნულ ტერიტორიულ ფორმირებებს შორის. არის ისინი ეროვნულ ეთნიკურ ჯგუფებს შორისაც ეროვნულ-სახელმწიფო და ტერიტორიულ ფორმირებათა შიგნით.

ეს განსხვავებანი მარტო წვრილმან საკითხებზე კი არა, არამედ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებებითაც არის, რომელთა შორისაა საწარმოო ძალების განლაგება, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, ბინითა და კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა, განათლების, სამედიცინო მომსახურების, მთლიანად სოციალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის დონე. ეს, სამწუხაროდ, აისახება ადამიანთა შეგნებაში უწინარეს ყოვლისა როგორც ეროვნული უსამართლობა, რასაც ხშირად მოსდევს ეროვნებათშორისი დაძაბულობის წარმოქმნა.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხალხთა განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, და უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების რეალური დამკვიდრების ბაზაზე შეიძლება მოვხსნათ და თავიდან ავიცილოთ იმ წინააღმდეგობათა მეტი ნაწილი, რომლებიც დღეს წარმოიქმნება ერებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარებაში. ამ დებულების უზრუნველყოფის ამოცანა, ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ უნდა ასახულიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნებოდა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ავტონომიურ რესპუბლიკებს დაუმკვიდრდეს მთელ რიგ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ-ყოფრივ, ეკოლოგიურ პრობლემებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ჩვენ, თქვა ორატორმა, მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტის დამატებას იმის შესახებ, რომ ისეთ დელიკატურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხების მთელი სპექტრი, როგორიცაა საბჭოთა ავტონომია, გაშუქებული იყოს სპეციალურად საერთო-საკავშირო კანონში საბჭოთა ავტონომიის შესახებ მისი განვითარების ახალ ისტორიულ ეტაპზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის დებულებების უზრუნველყოფა, ავტონომიების უფლებების გაფართოება და განმტკიცება, განსაკუთრებით რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე დაფუძნებულ ეკონომიკურ დარგში, ჰორს, თუ მკაფიოდ არ განისაზღვრა ავტონომიური და საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოების საკუთრება, თუ კარგად არ იქნება მოფიქრებული რეგიონში წარმოებული პროდუქციის განაწილების მექანიზმი. ავტონომიური რესპუბლიკებისათვის სამმართველო ფუნქციების უბრალო გადაცემა ვერ გადაწყვეტს სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებით მათი დაინტერესების გაზრდის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით გამოსვლაში ორატორი შეეხო საბიუჯეტო კანონმდებლობის საკითხებს.

ეროვნული პრობლემების ერთობლიობას შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ენის პრობლემებს. ენის პოლიტიკის სრულყოფის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე. ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემის კვანძს ვერ გავხსნით, თუ არ ავაღორძინებთ საზოგადოების ცხოვრებაში მშობლიური ენების როლსა და პრესტიჟს. დღეს არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ თვალსაწიერი მომავლისათვის ენის პოლიტიკის გენერალური გზაა ორენოვნების, როგორც ეროვნულ-რუსული, ისე რუსულ-ეროვნული ენის განვითარება. ამავე დროს ახლა სულ უფრო მეტად ხდება საჭირო, რომ გავააქტიუროთ მუშაობა, რათა თავიანთ უფლებებში აღვადგინოთ ეროვნული ენები, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი აღმოჩნდნენ შევიწროებული უპირატესად ყოფითი ურთიერთობის სფეროში. ამიტომ, მიაჩნია ორატორს, ძალიან სწორად დაისვა ახლა წინადადება, რომ მივიღოთ სპეციალური კანონი სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გამოყენების შესახებ. მშობლიური ენების უფლებათა აღდგენა დაკავშირებულია ეროვნული სკოლის, განსაკუთრებით პირველ-მეოთხე კლასების აღდგენასთან და შემდგომ განვითარებასთან, სადაც სწავლება, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია წარმოებდეს მხოლოდ მშობლიურ ენაზე და ამასთან მომდევნო კლასებში ისინი შეისწავლიან სხვა საგნებსაც. მაგრამ მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რუსული ენის, როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენის, შესწავლა სავალდებულო უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან რთულ ვითარებაში ჩავაყენებთ ეროვნული ახალგაზრდობის მომავალს.

იმისათვის, რომ ეროვნული საკითხები სისტემატურად ვითარდებოდეს გარდაქმნის სტრატეგიის საერთო კალაპოტში, გვჭირდება მათი ყოველდღიური მართვის მექანიზმი. ორატორმა მთლიანად დაუჭირა მხარი მოხსენებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის დებულებას იმის შესახებ, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების მართვის მწყობრი ორგანიზაციული სტრუქტურა. ეკონომიკურ დარგში ამ მექანიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს რეგიონალური სამეურნეო ანგარიში, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული რესპუბლიკებისა და ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებების ეკონომიკური ინტერესების ორგანულ შეერთებას საერთო-სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზმად და ეკონომიკურ რეფორმად, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს.

სახელმწიფო-სამართლებრივ დარგში ეს მექანიზმი შეიძლება გვქონდეს როგორც საკანონმდებლო სფეროში უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეროვნებათა პალატების სახით შესაბამისი კომისიებითურთ, ხოლო ავტონომიური ოლქებისა და ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების დონეზე — ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიების სახით, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ერთა განვითარებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტების სახით, რომლებსაც შესაბამისი ქვეგანაყოფები ექნებათ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, სხვა ეროვნულ ფორმირებებში. მიზანშეწონილია, ჩვენი აზრით, აღვადგინოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში შესაბამისი ეროვნული ავტონომიებისა და ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებების მუდმივი წარმომადგენლობანი.

რესპუბლიკის ბევრი კომუნისტის აზრით, ეროვნებათშორისი პროცესების განვითარებაზე პარტიული გავლენის გაძლიერების მიზნით სერიოზული ცვლილებანი უნდა შევიტანოთ პარტიული ორგანოების სტრუქტურაში. წინადადება შემოგვაქვს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებში შეიქმნას სრულფასოვანი განყოფილებები, რომლებიც თავიანთ ხელში მოუყრიან თავს პარტიის მთელ მიმდინარე მუშაობას ეროვნულ პრობლემებზე. საერთოდ მთელი ამ სისტემისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ქვეგანაყოფების მუშაობა უფრო ეფექტიანი იქნება კარგი მეცნიერული უზრუნველყოფის პირობებში, რომელიც ამჟამად ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ არის.

ტრიბუნაზეა სკკპ ებრაელთა ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ლ. კორსუნსკი.**

ებრაელთა ავტონომიური ოლქის კომუნისტებისა და მშრომელების გაგებით ეროვნულ ურთიერთობის სფეროში გარდაქმნა, თქვა მან, ნიშნავს ცხოვრებაში, რიცხოვნობის მიუხედავად, ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და ნამდვილად თანაბარი პასუხისმგებლობის დამკვიდრებას თავიანთი რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრუგების პროგრესისათვის, ჩვენი საბჭოთა ფედერაციის საერთო პროგრესისათვის. სწორედ ასე აღიქვეს მშრომელებმა მ. ს. გორბაჩოვის გუშინდელი მოხსენება. ცნობილია, რომ ეროვნული ერთგვაროვნებისადმი მისწრაფება, განაგრძო ორატორმა, უტოპიური და რეაქციული იყო ყოველთვის, თანამედროვე პირობებში კი მით უფრო. დღეს ნებისმიერი დიდი კოლექტივი, მით უმეტეს ოლქი, მხარე ან რესპუბლიკა, მრავალეროვანია. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა ჩვენი ოლქი, სადაც 90-ზე მეტი ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. მისი 55 წლის ისტორიის მანძილზე ჩვენ არასოდეს არ წავწყდომივართ ეროვნული უთანხმოებებისა და წყენის გამოვლინებებს.

სხვა საქმეა, რომ ჩვენი ოლქის ისტორიაშიც წვეთი წყალივით აისახა წინანდელი ეროვნული პოლიტიკის ყველა ნაკლი. რეპრესიებმაც, ხელოვნურად სტიმულირებულმა ბრძოლამ კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, ყბადაღებულმა „ექიმების საქმემაც" სერიოზული ზიანი მიაყენა მის განვითარებას. სწორედ იმ წლებში დაიწყო ოლქის ის-ის იყო ჩასახული ეროვნული სპეციფიკის, საერთოდ ებრაული კულტურის დაცემა. გვაწუხებს ის ფაქტი, რომ ოლქში კლებულობს ებრაელი მოსახლეობის წილი. შეიძლება, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ბუნებრივ ასიმილაციაზე, მაგრამ საკითხის არსი ეს არ არის. იგი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაუჭრელობაა, რომელთა შორის პირველი რიგის პრობლემებია: სურსათის, ბინის, ჯანმრთელობის დაცვის, მოკლედ, სოციალური სფეროს მთელი კომპლექსი. ისევე, როგორც ყველგან ქვეყანაში, ჩვენც გვაქვს სირთულეები მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებების რეალიზაციის საქმეში. შემდეგ ორატორი შეეხო იმას, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ახლა ოლქში მდგომარეობის გამოსასწორებლად. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობაში შეტანილია წინადადებანი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს შეწონასწორებული კომპლექსური განვითარების თაობაზე. მათი განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ კარგი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, გავაუმჯობესოთ ადამიანთა ცხოვრების პირობები. მაგრამ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები აჭიანურებენ მათ განხილვას.

სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრო არა და არ იღებს ქმედით ღონისძიებებს ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობის გააქტიურებისათვის. ამავე დროს მომავალ ზამთარში თბოენერგიის დეფიციტი საოლქო ცენტრში უკვე მოქმედი სიმძლავრის 17 პროცენტს მიაღწევს. პრობლემები გვაქვს ეროვნულ-კულტურულ განვითარებაშიც. მათგან მთავარია ებრაული ენის, ისევე როგორც, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა ენების ცოდნისა და გამოყენების სფეროს დონის დაქვეითება. ჩვენ მოვითხოვთ ყველა ეროვნული კულტურის კომპლექსურ განვითარებას, სავსებით ვუჭერთ მხარს იმ დებულებას, რომ რუსული ენა აღიარებული იყოს საერთო-სახელმწიფო ენად. ვქმნით პირობებს, რათა თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეისწავლებოდეს სხვა ენებიც.

მეორე წელია ებრაულ ენას ასწავლიან ოლქის მთელ რიგ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. ამჟამად მუშავდება სახელმძღვანელოები, მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოები. ადგილობრივი კადრების მომზადება დაიწყო მიმდინარე წელს გახსნილ პედაგოგიურ ინსტიტუტში. გაფართოვდა რადიომაუწყებლობა ებრაულ ენაზე. მომავალი წლიდან გვექნება ადგილობრივი სატელევიზიო მაუწყებლობა. ოლქში მოქმედებს ებრაული სახალხო და კამერული მუსიკალური თეატრი, ებრაული კულტურის მეგობართა ინტერნაციონალური კლუბი, რომელმაც სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები გააერთიანა. გახსნილია „ახალი ამბების" პრესის სააგენტოს კორესპონდენტთა პუნქტი, „ინტურისტის" განყოფილება.

ამასთანავე მოსახლეობის ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებებს აბრკოლებს პოლიგრაფიული, საგამომცემლო ბაზის სისუსტე. არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი და რუსეთის სფსრ გამსახკომი კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არ იღებენ პოლიგრაფკომბინატის დაპროექტების დაჩქარებისათვის, წიგნის გამომცემლობის გახსნისათვის, მოქმედი სტამბების საჭირო მოწყობილობითა და შრიფტებით აღჭურვისათვის. რუსეთის სფსრ სახალხო განათლების სამინისტრო და რუსეთის სფსრ გამსახკომი ჯეროვან ზრუნვას არ იჩენენ ებრაულ, უკრაინულ და მოლდავურ ენებზე სასწავლო-მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურით ოლქის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საჭიროდ მიგვაჩნია განხილულ იქნეს საკითხი, რომ ოლქში გაიხსნას სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის ეროვნული სკოლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. მეცნიერებათა აკადემია აყენებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გახსნას, თუმცა ამ საკითხებზე გადაწყვეტილება აგრეთვე მიღებული იყო. შემომაქვს აგრეთვე წინადადება შეიქმნას ცენტრში ეროვნებათშორის ურთიერთობათა საერთო-სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც.

ჩვენ, განაგრძო ორატორმა, არსებითად მატერიალისტები ვართ. ამიტომაც ვიცით, რომ ეკონომიკის განვითარების დონე გავლენას ახდენს ზედნაშენურ მოვლენებზე, რომლებსაც, სხვათა შორის, განეკუთვნება ეროვნებათშორისი ურთიერთობაც. ეკონომიკაში კრიზისის გაღრმავებამ უკიდურესად გაამწვავა საქონლით ხალხის უზრუნველყოფის პრობლემა. ამ ფონზე მკვეთრად გამოიკვეთა საზოგადოების ფენებად დაშლა, არასტაბილურობა, ხვალინდელი დღის ურწმუნობა. ასეთ ვითარებაში აქტიურდებიან ძალები, რომლებიც სპეკულაციურად იყენებენ ამ სიძნელეებს, მოუწოდებენ ხელისუფლებისადმი მოქალაქეობრივი ურჩობისათვის, დემონსტრაციებისა და გაფიცვებისათვის. ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ ჩვენი ხალხის ინტერესებზე, ცდილობენ ხელთ იგდონ ძალაუფლება, იხვეჭენ იაფფასიან პოლიტიკურ კაპიტალს, გამოდიან პარტიისა და გარდაქმნაში მისი მთავარი როლის წინააღმდეგ. ჯეროვანი პასუხი ვერ გავეცით წვრილბურჟუაზიული სტიქიის თავდასხმებსაც, სხვისი მოიმედეობის განწყობილებებს, რომლებიც მთელ რეგიონებს მოედო. სწორედ არ მიგვაჩნია მთავრობის გადაწყვეტილებანიც, რომ დაეკმაყოფილებინა სახალხო მოთხოვნილების საქონლით გაფიცულთა მოთხოვნები. ადამიანები კითხულობენ, სხვებზე უარესი რითი ვართ? მართლაც, განა შეიძლება რესურსების ერთი ჯიბიდან მეორეში გადადება?

ჩემი აზრით, მთავრობამ ყოველმხრივ უნდა აწონ-დაწონოს და უთხრას ხალხს სიმართლე იმის შესახებ, შეგვიძლია თუ არა დღევანდელ პირობებში იოლად წავიდეთ ცალკეული საქონლის ხორმირებული მომარაგების გარეშე? თუ არა, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ გარკვეული ვადით დადგენილების მიღებაზე, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იმოქმედებდა სამართლიანობის პრინციპების, და არა ტერიტორიების მიხედვით შექმნილი ფონდების დონის გათვალისწინებით. შემდეგ ორატორმა მხარი დაუჭირა იმას, რომ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში მეტი დამოუკიდებლობა მივანიჭოთ ადგილობრივ საბჭოებს. მან, კერძოდ, თქვა, რომ ხელს არ უწყობს მათი როლის ამაღლებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის შესწორებანი. არსებითად ისინი სწორია, მაგრამ განა შეიძლებოდა მათი მიღება საკუთრების ფორმების, ადგილობრივი მეურნეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მიწის, არენდის, დაბეგვრის შესახებ სხვა კანონპროექტებისაგან მოწყვეტით და ა. შ. დარწმუნებული ვარ, არ შეიძლებოდა. და აი გამოდის, რომ საწარმოებს კიდევ უფრო მეტი უფლებანი ეძლევათ, ხოლო საბჭოების უუფლებობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობა მეტი კონცეპტუალურობით უნდა გამოირჩეოდეს.

გარდაქმნას, განაგრძო მან, ზიანი მიაყენა ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის მოწვევის გაჭიანურებამაც. ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესმა საბჭომ, ქვეყნის მთავრობამ, და ამაზე ილაპარაკეს მშრომელებმა, უნდა აღიარონ, რომ ეროვნულ სფეროში შექმნილი მდგომარეობისათვის, როგორც მათ შორის დრამატული ხასიათის მდგომარეობისათვის, პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. დროულად და პრინციპულად არ მიეცა შეფასება ეროვნული თავმოწონეობის გადაზრდას ეროვნულ ეგოიზმში, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ უწყებრიობის, კუთხურობის, ეროვნული კარჩაკეტილობის ტენდენციებისათვის. ჩანასახშივე ვერ აღკვეთეს შოვინისტური და ექსტრემისტული გამოსვლები.

ამ ტრიბუნიდან უკვე არაერთხელ აღინიშნა გარდაქმნაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პოზიტიური როლი. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ბოროტად იყენებს მოთმინებას. ჩემი აზრით, ჟურნალები „მოლოდაია გვარდია" და „ნაშ სოვრემენნიკი" გამოირჩევიან განსაკუთრებით დიდი ყურადღებით ეგრეთ წოდებული „ებრაული" საკითხისადმი. ისინი ხშირად თავიანთ პუბლიკაციებში აშკარად უწევენ პროპაგანდას ანტისემიტიზმს. ისმება კითხვა: რატომ არის ასეთ რთულ, გადამწყვეტ ჟამს ვიღაცა დაინტერესებული გაალვივოს მტრობა და სიძულვილი? ეროვნებათშორისი ურთიერთობაში შექმნილ ახლანდელ ნამდვილად აფეთქებასაშიშ სიტუაციაში ჩვენ არ შეიძლება არ გვაწუხებდეს სსრ კავშირიდან მოსახლეობის მზარდი ემიგრაციის პროცესი. ჩემი აზრით, ამას მხოლოდ იოლი ცხოვრებისადმი მისწრაფებითა და დასავლეთის პროპაგანდის გავლენით ვერ ავხსნით. როგორც სკკპ საოლქო კომიტეტში ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან მიღებული წერილები ადასტურებს, ემიგრაცია ბევრად უკავშირდება ადამიანთა გარკვეული ნაწილის შოვინისტურ განწყობილებათა ზრდას, „პამიატის" ან „სიონისტთა კავშირის" ტიპის ნაციონალისტური ჯგუფების დაუსჯელობას. ვიტყვი, რომ „ოგონიოკსა" და „მოლოდაია გვარდიას" შორის დავაც, მათ შორის მიმდინარე წლის 3 სექტემბრის გაზეთ „პრავდაში" სათაურით „მივყვეთ სიმართლეს", დიდი ხანია გასცდა ლიტერატურული პოლემიკის ფარგლებს და არ გამოხატავს აზრთა სოციალისტურ პლურალიზმს. სამწუხაროდ, არც წინასიტყვაობაში, არც ინტერვიუს კომენტარში არაფერია ნათქვამი ამ საკითხებში ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „პრავდის" პოზიციაზე.

მიზანშეწონილია, განაგრძო ორატორმა, ადამიანთა აზრის გათვალისწინებით განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ყველა ავტონომიური ოლქი დაექვემდებაროს უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლების და რუსეთის ფედერაციის მმართველობის ორგანოებს. უფრო გულდასმით უნდა განვიხილოთ ის საკითხიც, რომელიც შეეხება ავტონომიური ოლქების წარმომადგენლობას რუსეთის სფსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში. სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ რუსეთის სფსრ კანონის პროექტში, მე-16 მუხლში, განსაზღვრულია ავტონომიური ოლქისაგან ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების მიხედვით წარმომადგენლობის ნორმა — 2 დეპუტატი. ამავე დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ამასწინანდელ არჩევნებში ჩვენ ნორმით 5 დეპუტატს ვირჩევდით. წინააღმდეგობრივი სიტუაცია იქმნება. საკავშირო საკანონმდებლო ორგანოში ავტონომიისაგან დეპუტატები მეტია, ვიდრე რესპუბლიკურისაგან, რომლებიც მათთან უფრო ახლოს არიან და უშუალოდ დაკავშირებულნი.

დასასრულ ორატორმა ყურადღება გაამახვილა შემდეგზე. პლატფორმის პროექტში არის წინადადება შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო, რომელიც თავის დროზე გაუქმებული იყო როგორც ზედმეტი, პარტიული ხელმძღვანელობის დუბლსართული. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებული არ უნდა იყოს უკვე ნავალი ბილიკით სიარული. თუ გადავწყვეტთ რუსეთის კომუნისტთა ავტონომიის საკითხს, არ უნდა შემოვიფარგლოთ სანახევრო ღონისძიებებით. რუსეთის კონფერენციები აქ არაფერს გვიმატებენ. როგორც ჩანს, საბოლოოდ უნდა განვსაზღვროთ რუსეთის კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის შექმნის საკითხი.

პატივცემულო ამხანაგებო, მიმართა შეკრებილთ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვ. ვ. ბაკატინმა.** პლენუმის პრეზიდიუმმა გამაცნო ბარათი, სადაც შემოთავაზებული იყო მოვისმინოთ შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაში. ჯერჯერობით კი, ნათქვამია ბარათში, პრესა გვაბრუებს სტატისტიკით. მართლაც, სტატისტიკა არასასიკეთოა. მიმდინარე წლის 8 თვის მანძილზე დამნაშავეობა გაიზარდა 33,2 პროცენტით, ჩადენილია მილიონ 518 ათასი დანაშაული, მათ შორის მძიმე —233 ათასი. ეს უპრეცედენტო ზრდაა.

თუ მიზნად დავისახავთ, რომ სტატისტიკა გვამშვიდებდეს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობა მოსკოვში 28-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ ბერლინში. მაგრამ, ალბათ, ეს უკვე დასავლეთ ბერლინის, და არა მოსკოვის, პრობლემაა. პარტიის ხაზი ამ ბოლო ხანს იყო და არის სტატისტიკით მანიპულირების საწინააღმდეგო. შინაგან საქმეთა სამინისტრო მკაცრად იცავს ამ ხაზს.

ჩვენთან დამნაშავეობა იზრდება. ძალზე საგანგაშო სიტუაციაა. კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოსთხოვა სამართალდაცვის ორგანოებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი. თუ ვინმე მოელის დაუყოვნებლივ შედეგებს, გამარჯვებებს, იმედი უნდა გავუცრუო — ასეთი რამ შეუძლებელია. ამავე დროს ღონისძიებანი ხორციელდება.

რესპუბლიკებსა და ოლქებში აქტიურად ამუშავდნენ დროებითი კომიტეტები ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით. მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუყო დამატებითი რესურსები მილიციის შრომის ანაზღაურების გადიდებისა და მისი ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

ოპერატიული დანიშნულების შინაგანი ჯარების რიცხვი გაიზრდება 26,7 ათასით, საგამოძიებო ორგანოების მუშაკებისა — 5 ათასით. მაგრამ ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ ვგრძნობთ, ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა თანდათანობით თავიდან იცილებს ამ ბოლო წლებში შექმნილ, თანაც ბოროტგამზრახველი გარდაქმნის საწინააღმდეგო ძალების მცდელობით, თავზეხვევიაობის, პასიურობისა და შიშის კომპლექსს.

ფაქტობრივად პირადი შემადგენლობის რიცხვის გაუზრდელად, აღნიშნა ორატორმა, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებმა 8 თვეში გახსნეს და გამოიძიეს 262 ათასით მეტი სისხლის სამართლის საქმე, ვიდრე შარშან. სიტუაციის დასახასიათებლად მინდა მოვიყვანო კიდევ ასეთი, იქნებ, მკაცრი, მაგრამ ნიშანდობლივი ციფრები. თუ მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში მილიცია იარაღს ბანდიტებისა და დამნაშავეების წინააღმდეგ საშუალოდ თვეში 30-ჯერ იყენებდა, აგვისტოში უკვე გამოიყენა 90-ჯერ, ხოლო სექტემბრის 15 დღის მანძილზე — 72-ჯერ, ეს რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ის მაჩვენებელი არ არის, რომელიც უნდა გვახარებდეს, მაგრამ იგი მაინც მოწმობს, რომ მილიცია უფრო გაბედულად მოქმედებს.

ასეთია საერთოდ ღონისძიებანი ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეობის მიმართ. რაც შეეხება დანაშაულებებს ეროვნებათშორისი კონფლიქტების ნიადაგზე, მასობრივ უწესრიგობებს, უკანონობასა და ძალმომრეობას, აქ ვითარება გაცილებით ნაკლებად გარკვეულია და, პირდაპირ ვიტყვი, ძნელია მისი განჭვრეტა. მიმდინარე წელს და შარშან ქვეყანაში ეროვნებათშორისი უწესრიგობების დროს მოკლულია 292 კაცი, 5 ათას 250 კაცმა მიიღო სხეულის დაზიანება, დაწვეს და გაძარცვეს ათასობით საცხოვრებელი სახლი. თავისი კერებიდან მიტოვება მოუხდა 360 ათას სომეხს, აზერბაიჯანელს, თურქ-მესხს, სხვა ეროვნებათა ადამიანებს. ყოველ ასეთ კონფლიქტს აქვს თავისი მიზეზები, თავისი სახე, ჰყავს თავისი შემსრულებლები, მათ შორის, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დამნაშავეებიც, თავისი შთამაგონებლები: „ფარული ეკონომიკის", ანგარებიანი დამნაშავე კლანებისა და ა. შ. ჩრდილში დარჩენილი ლიდერები. უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე დაზარალდა შინაგან საქმეთა ორგანოების 872 თანამშრომელი და სამხედრო მოსამსახურე, მათგან 12 კაცი დაიღუპა თავისი მოვალეობის პატიოსნად შესრულებისას, თქვა შემდეგ ორატორმა.

ყველა მასობრივი უწესრიგობის, ეროვნებათშორისი კონფლიქტის გამო, რომლებიც ამ ორ წელიწადში მოხდა, სსრ კავშირის პროკურატურამ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა 1138 საქმე, ხოლო სასამართლოებს გადაეცა და სასამართლოების მიერ მსჯავრდადებულია ჯერჯერობით 344 კაცი. აქ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება ძალზე შენელებულია. ვსჯით უპირველესად უშუალო მკვლელებსა და მოძალადეებს, მაგრამ ორგანიზატორები და შთამაგონებლები, ისინი, ვინც უშუალოდ აწყობს, აქეზებს, ხელმძღვანელობს, აღვივებს ნაციონალიზმს, სამწუხაროდ, როგორც უკვე ვთქვი, პრაქტიკულად დაუსჯელი რჩებიან.

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები აქ ცუდად გამოიყენება.

შემდეგ ვ. ვ. ბაკატინი შეეხო მთიანი ყარაბაღის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძიოთ კომპრომისის გზებით, კი არ უნდა გადავაკეთოთ საზღვრები, არამედ გადავდგათ ნაბიჯები ერთმანეთის ხელშესაწყობად. თუ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია და სომხეთის კომუნისტური პარტია, მათი ცენტრალური კომიტეტები ნამდვილად ახორციელებენ ხელმძღვანელ როლს, მოპოვებული აქვთ ავტორიტეტი თავიანთ ხალხში, უნდა მივცეთ მათ შესაძლებლობა ცხადყონ ინტერნაციონალიზმი საქმით. თუ ერთი და იგივე პარტიის წევრები, რომლის იდეოლოგია და დროშაა ინტერნაციონალიზმი, ვერ შეთანხმებულან ერთმანეთს შორის, მაშასადამე, აქ რაღაც რიგზე ვერ არის. და აქ შინაგანი ჯარები, ღრმად ვარ დარწმუნებული, საერთოდ ყოველგვარი ჯარები საქმეს ვერ უშველიან. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავეხმაროთ, დავეხმაროთ ხელისუფლებას იბრძოლოს რაღაც ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგ.

სანამ გამოვიდოდი ერთხელ კიდევ ვესაუბრე იქ ჩვენი მუშაობის, ყარაბაღში ამ ძნელი მუშაობის უშუალო მონაწილეებს. სინამდვილეში, როცა ვწმენდთ ხერგილებს ლაჩინშიც, ევლახშიც, აღდამშიც, ჩვენ არ ვგრძნობთ, რომ ამით ვეხმარებით ამ რაიონების საბჭოთა ორგანოებს იბრძოლონ ექსტრემიზმის წინააღმდეგ. არა, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ამას ჩვენთვის მარტოკა, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე ვაკეთებდეთ, ხშირად კი წინააღმდეგობას ვგრძნობთ ორი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის დონე მეტი უნდა იყოს. და არა მარტო ხელმძღვანელებისა — მაშინ ურთიერთჭიქეზებაც ნაკლები იქნება.

ილაპარაკა რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ეროვნებათშორისი ურთიერთობის რთული საკითხების გაშუქებაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს, როგორც კი პრესის ზოგიერთი ორგანო შეეცდება ჭეშმარიტების მიგნებას, არცთუ იშვიათად სწყინთ ხოლმე, აღიგზნებიან ამ დარბაზში მსხდომთა დონეზეც კი. მაგრამ პოლიტიკური ანალიზი ხომ შეუძლებელია, თუ საგნებს თავისი სახელი არ ვუწოდეთ. ეს სავსებით ცხადია.

თანასწორი საჯაროობის პოლიტიკა, „ნახევარსაჯაროობის" ან შეწონასწორების პოლიტიკა, ორატორის აზრით, ზიანის გარდა, არაფერს არ მოიტანს. იგი ჩქმალავს სიტუაციას, ხელს უწყობს ნეგატიური პროცესების ზრდას და ხელს აძლევს იმათ, ვინც იგებს დროს და ამ გზით იკავებს იმ პოზიციებს, რომლებიც, ალბათ, არ უნდა მოვაპოვებინოთ მათ.

ეროვნებათშორისი პრობლემების გადაჭრის გასაღები, თქვა დასასრულ ორატორმა, არის ეკონომიკა, სოციალური სფერო, საერთო სულიერი, ზნეობრივი იდეალებისა და მიზნების ძიება. მაგრამ აქ პირველ ადგილზე უნდა იყოს პარტიის განმტკიცება.

მოხსენებაში, პლატფორმის პროექტში, თქვა პარტიის ტუვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჩ. შირშინმა,** ყოველმხრივ არის დასაბუთებული პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის აქტუალური ამოცანები. ანალიზი ღრმაა, უკავშირდება ჩვენი საზოგადოების დღევანდელ რეალობებს. სავსებით ცხადია, რომ მწვავე პრობლემები, რომლებიც ეროვნებათშორისი ურთიერთობაში წარმოიქმნება, უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის შემდგომი განმტკიცების, ერთა, ეროვნებათა შორის ურთიერთობის ჰარმონიზაციის ინტერესებისათვის. ეროვნული საკითხი ხომ არ არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ განვითარებაში, არამედ მთლიანად უქვემდებარება მის ძირეულ მიზნებსა და ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში სწორად აღინიშნა, რომ წინააღმდეგობებმა ერების განვითარებასა და მათ დაახლოებას შორის, დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებასა და ინტერნაციონალური ურთიერთობის გაღრმავების მოთხოვნილებას შორის თავი იჩინა ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში.

ამ ბოლო დროს, განაგრძო ორატორმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში, სამეცნიერო-შემოქმედებითს წრეებში რატომღაც ცალმხრივად ეთმობა ყურადღება მხოლოდ ერთა და ეროვნებათა სუვერენიტეტის, ავტონომიურობის, დამოუკიდებლობის, მათი ეროვნული თვითშეგნების ზრდის საკითხებს. თანაც ხშირად პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისაგან მოწყვეტით. ზოგჯერ ერების განვითარებას მხოლოდ ეთნიკურ მაჩვენებლებთან აიგივებენ.

ამავე დროს ცხოვრებაში რეალურად საგრძნობი პროცესები ხდება, რომლებიც იწვევს საბჭოთა ხალხების ურთიერთშეცნობასა და დაახლოებას ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ერთობის საფუძველზე. არამართლზომიერია დავაკანონოთ მათი დამრაზმველი, შემაკავშირებელი მნიშვნელობა, რადგან ისინი შეიცავს ჯანსაღ საწყისს, რომელსაც აგრეთვე სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა. ეს დამაახლოებელი პროცესები ხომ დიდ გავლენას ახდენს თითოეული ხალხის განვითარებაზე, ამ განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ამ დებულებას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს პატარა ხალხებთან. ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათ განვითარების დღევანდელ დონეს მხოლოდ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ერთიანობის, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათთან დაახლოების წყალობით მიაღწიეს. ამის დასადასტურებლად ორატორმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მატერიალური დახმარებით რუსი, სხვა საბჭოთა ხალხების მხარდაჭერით მოკლე ისტორიულ ვადაში ტუვის ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნები მოხდა. დღეს რესპუბლიკას აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და საკადრო პოტენციალი.

რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს პრობლემები და ნაკლოვანებანი. ისტორიულ გარემოებათა გამო ჯერ კიდევ არსებითი განსხვავებაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეებში ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით.

ჩვენი რესპუბლიკა, თქვა გ. ჩ. შირშინმა, უახლოეს მომავალში იოლად ვერ წავა სახელმწიფო დახმარების გარეშე. ჩვენ გულახდილად და პატიოსნად ვამბობთ ამას, მხარს ვუჭერთ პარტიის პლატფორმის დებულებებს ეკონომიკურ განვითარებაში ჩამორჩენილი რაიონებისათვის საერთო-საკავშირო ფონდის შექმნის შესახებ.

პლატფორმაში სამართლიანად არის ნათქვამი, რომ ეროვნულ განწყობილებას დიდი ზიანი მიაყენა მმართველობის დარგობრივი პრინციპის გაბატონებამ და ამასთან დაკავშირებულმა უწყებრიობამ, რის შედეგად ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ეროვნული პირობები და ტრადიციები, ეკოლოგიური მოთხოვნები. ჩვენ საკუთარ თავზე განვიცადეთ ეს. საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან, მისი წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე იტბორება 23 ათასზე მეტი ჰექტარი მიწის სავარგულები. ეს უაღრესად ძნელ მდგომარეობაში აყენებს რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი რაიონის სოფლის მეურნეობას. რაღაცნაირად რომ განვმუხტოთ ვითარება, ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხუთი მეტრით მაინც შემცირდეს ზონის დატბორვის დონე, ესე იგი შევჩერდეთ 535 მეტრ ნიშნულზე, და არა 540 მეტრზე, როგორც ეს პროექტით არის გათვალისწინებული. ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მხარი დაგვიჭიროს ამაში.

პარტია სახავს ამოცანას — თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ პოლიტიკა კულტურის დარგში. აქ, ისევე როგორც წინათ, საჭიროა ვცნოთ ეროვნულ კულტურათა თავისთავადობა, დავგმოთ მათი შელახვის ყოველგვარი ფორმები, და ამავე დროს შევქმნათ ინტერნაციონალისტური პროცესების, კულტურათა ურთიერთქმედების განვითარების პირობები.

ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნული კულტურა თავის თავში არ უნდა ჩაიკეტოს, უფრო მეტიც, იგი შეიძლება წარმატებით განვითარდეს მხოლოდ საერთო-ეროვნული საბჭოთა კულტურის საფუძველზე სხვა ხალხების კულტურასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ეროვნული ავტონომიის პირობებში ეროვნულ-რუსული, რუსულ-ეროვნული ორენოვნების განვითარება ყველაზე ცხოვრებისეულია. ეს შეესაბამება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლენინურ დებულებას, მათი თავისუფალი განვითარების შესახებ. უაღრესად საჭიროა მივაპყროთ ყურადღება სახელმწიფო ენის შინაარსსა და ფუნქციას. თუ იგი ეროვნული ნიშანია, კულტურული და სულიერი ზრდის საშუალებაა, ეს ერთი საქმეა. თუ სახელმწიფო ენა, იურიდიულად სავალდებულო ხდება რა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის, შეზღუდავს მათ უფლებებს სხვა ენების ხმარებაში, დაარღვევს მათ თანასწორუფლებიანობას, ეს შეუწყნარებელია.

ტუვის მკვიდრი მოსახლეობისათვის მშობლიურ ენასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალურია რუსული ენის ათვისება. ეს ობიექტური მოთხოვნილებაა. რუსული ენა საშუალებას გვაძლევს ვეზიაროთ რუსი და სხვა საბჭოთა ხალხების სულიერ და მატერიალურ კულტურას, გვეხმარება უშუალო ურთიერთობაში, შრომით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოფაში, სწავლასა და სამხედრო სამსახურში. ამასთან დაკავშირებით ორატორი შეეხო რუსული ენის სწავლების საკითხს და სხვა პრობლემებს.

ისეთ პირობებში, როცა ეროვნული და ეროვნებათშორისი პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ადამიანთა ფსიქოლოგიას, საზოგადოებრივ შეგნებას, სხვა ერების წარმომადგენლებისადმი მათი დამოკიდებულების გამოვლინებას, როგორც არასდროს, იზრდება პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის როლი, რომელიც მტკიცე იდეურ-თეორიულ საძირკველს ეყრდნობა. აქ მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანთა ინტერნაციონალისტური შეგნების ფორმირებას. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ადამიანებში ეროვნული თვითშეგნების ზრდას თავისთავად არ სდევს მათი ინტერნაციონალური შეგნების ზრდა. ეს კი ხშირად იწვევს იმას, რომ ადამიანთა ნაწილი მიექცევა ნაციონალისტურ, იდგება ეროვნული შეზღუდულობის პოზიციაზე. მოხსენებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომუნისტებს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის, მათ შორის [illegible] დამკვიდრებისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება ეროვნული რესპუბლიკების ხელმძღვანელ მუშაკებს.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ ტუვის კაპიტალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული ზოგიერთი მოქალაქე ამჟამად მიმართავს პროვოკაციულ მოქმედებას, ცდილობს რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის დესტაბილიზაციას, ანტისოციალისტური, ანტირუსული განწყობილების დათესვას. ანალოგიურ მოქმედებებს „გეთაუზუნბის" სხვადასხვაგვარი ემისრები ბალტიისპირეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან, ზოგიერთი სხვა ადგილიდან. ყველაფერი ეს უნდა გავითვალისწინოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

დასასრულ ორატორმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ წელს არ მოეწყოს პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ბიუროს ანგარიშები, არამედ გადაიტანონ ისინი ზაფხულში, როცა [illegible] ღონისძიებანი. მან აგრეთვე მხარი დაუჭირა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოში ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობათა აღდგენას.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს **ვ. მ. მიშინს.**

ეროვნებათშორისი პრობლემების სიმწვავეს, თქვა მან, ყველა ჩვენგანი, ალბათ, საკუთარი პოლიტიკური პრაქტიკით მიმდინარეობით გრძნობს. მეც სრულად შევიგრძენი ეს მთიან ყარაბაღში და ბაქოს, [illegible] მთელი [illegible] მუშაობის, [illegible] უფრო [illegible] გზების თაობაზე.

ეროვნებათშორისი „კონფლიქტების" მწვავედ გამოვლინება პროფკავშირულ მოძრაობაშიც. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქში [illegible] ამოიწურა, საკავშირო [illegible] დამოუკიდებლობას ირჩევენ, [illegible] სხვადასხვა ეროვნების [illegible] საკავშირო [illegible] ცენტრში.

მხარი დაუჭირა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმას, [illegible] ჩვენი მოკავშირე და ავტონომიური [illegible] ინტერნაციონალისტური [illegible] პოლიტიკური [illegible] ეროვნების, [illegible] კატეგორიულ [illegible] პოლიტიკის, რომელიც გვთავაზობს ერთი ხალხის კულტურის გზას მოსახლეობის [illegible] ინტერნაციონალიზმის ხარჯზე.

ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი ძირეული მიზეზი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე რაოდენობრივად გაიზარდა პარტიის, [illegible] მოკავშირე რესპუბლიკების [illegible] მუშათა კლასის ეროვნული რაზმების ფორმირების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხი. სრულიად მცდარი იყო, რომ საწარმოო ძალების განლაგება [illegible] ეკონომიკური, ტექნოკრატიული ტენდენციების მიხედვით სოციალურ-დემოგრაფიული და ეროვნულ-ეთნიკური ფაქტორების [illegible]. დღეს ჩვენ [illegible] მუშაობა [illegible] წარმომადგენლობის [illegible].

საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების ზრდის შესახებ [illegible], ჩვენ ფაქტობრივად ხელი შევუწყვეთ ეროვნებათშორისი დაძაბულობის ზრდას [illegible].

[illegible]

ამ ბოლო დროს, განაგრძო ორატორმა, [illegible] სოციალისტური დემოკრატიის, [illegible] სოციალისტური [illegible].

[illegible]

(დასასრული მე-4 გვ.).

დასაწყისი იხ. „კომუნისტი" №№ 219, 220, 221, 222.

ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენი პარტიისათვის სერიოზული პოლიტიკური გამოცდა გახდება, თქვა მან. რეალობა ის არის, რომ უკვე არსებობს მრავალფეროვანი საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომლებსაც შეუძლიათ ერეოდნენ პოლიტიკური სიტუაციების გადაწყვეტაში. საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემებით, რომლებიც სოციოლოგიის ინსტიტუტმა მოაწყო, ამომრჩეველთა სამ მეოთხედს ჯერაც არ განუსაზღვრავს თავისი სიმპათიები. და ეს მასები შეიძლება აიცდინონ გზას პოპულისტური ფრაზეოლოგიით.

უკანასკნელ ხანს იგრძნობა შეშფოთება პარტიის რიგებიდან გასვლის პროცესების გამო. სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისთან დაკავშირებით უნდა გავაანალიზოთ ვინ და რატომ აცხადებს იმედგაცრუებას კომუნისტთა პარტიით. მიმაჩნია, თქვა ორატორმა, რომ საჭიროა მტკიცედ გავემიჯნოთ და რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესი იმათ, ვინც ფორმალურად პარტიის რიგებში და მის არჩევით ორგანოებშიც კი იმყოფება და ამავე დროს ხელს უწყობს ჩვენი პარტიის არსისა და სულისკვეთებისათვის უცხო იდეების ფეხმოკიდებას, მოქმედებს მისი გეზის საწინააღმდეგოდ. არანაკლებ საჭიროა გავერკვეთ, რა ხალხი შეემატა პარტიას გარდაქმნის 4 წლის მანძილზე და რა ადგილი დაიკავა მან პარტიის ცხოვრებაში. თუ არ დავეყრდნობით პარტიულ ახალგაზრდობას, აქტიურად არ ჩავაბით იგი პოლიტიკური ბრძოლის რეალურ პრაქტიკაში პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის საკვანძო უბნებზე, ვერ მივაღწევთ პარტიის ჭეშმარიტ განახლებას.

ამით დისკუსია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დამთავრდა.

• • •

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის **ა. ი. სუხარევის** ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის იმ განცხადების განხილვის შედეგების შესახებ, რომლითაც მან მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის პროკურატურას, ვინაიდან გამომძიებლებმა ტ. ხ. გდლიანმა და ნ. ვ. ივანოვმა ბრალად დასდეს მექრთამეობა.

ვაცნობებ, რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ამხ. ი. კ. ლიგაჩოვის განცხადების შემოწმების შედეგებს, თქვა მან, ამთავითვე ხაზს გავუსვამ ორ არსებითს გარემოებას.

ჯერ ერთი, გამომძიებლების გდლიანისა და ივანოვის მრავალი გამოსვლა, რომლებშიც გადაკვრით თუ აშკარად ამტკიცებდნენ ამხ. ლიგაჩოვის ვითომდა მექრთამეობას, სრულიად აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

მეორე, ამხანაგებმა გდლიანმა და ივანოვმა კარგად იცოდნენ, რომ ისინი არა მარტო უხეშად არღვევენ საგამოძიებო ეთიკისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ელემენტარულ ნორმებს, არამედ ავრცელებენ კიდეც საშიშ სიცრუეს, რომლებიც თავად მათ შეთითხნეს.

ეს დასკვნებია მოცემული გამოძიების ოფიციალურ დოკუმენტში — 1989 წლის 4 სექტემბრის დადგენილებაში თვით დანაშაულის ხდომილების არარსებობის გამო საქმის შეწყვეტის შესახებ.

რას ემყარება ეს დასკვნები? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა დავსვათ მეორე კითხვა. საიდან და რატომ გაჩნდა ლიგაჩოვის გვარი? გამოძიების უცილობელი მონაცემების საფუძველზე დადგინდა შემდეგი. ლიგაჩოვის გვარი დაასახელა მხოლოდ ერთმა პატიმრობაში მყოფმა განსასჯელმა — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ი. ბ. უსმანხოჯაევმა, ფრიად იდუმალი, თუმცა, ახლა უკვე ნათელი გარემოებების დროს.

უსმანხოჯაევი გასული წლის 19 ოქტომბერს დააპატიმრეს. რამდენადაც გდლიანის ჯგუფის მიერ უზბეკეთში მექრთამეობის საქმის გამოძიება ჭიანურდებოდა, ათობით მოქალაქე წლობით ჰყავდათ სასამართლომდე პატიმრობაში, პროკურატურის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დააჩქარებინა გამოძიება, მით უმეტეს, რომ უნდა ემუშავათ ერთბაშად ოთხ ახალ განსასჯელთან.

ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული გდლიანის ჯგუფში გამოძიების დაბალი პროფესიული ხარისხი. იგი განსაკუთრებით გამოვლინდა ჩურბანოვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების სხვა მუშაკთა საქმის გამო ბრალდებათა მომზადების დროს.

ამიტომ, საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებისა და 200 პერიფერიელი უკვე მომუშავე გამომძიებლის გარდა მოიწვიეს, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა, სსრ კავშირის პროკურატურის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს, მთავარი სამხედრო პროკურატურის ყველაზე გამოცდილი პროკურორი მუშაკები და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამომძიებლები, რომელთა ინიციატივითაც დაიწყო 1983 წელს უზბეკეთში მექრთამეობის გამოძიება.

უსმანხოჯაევის საქმის წარმოება დაევალა სსრ კავშირის პროკურატურის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ვ. ა. ტიტოვს და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელს ამხ. ვ. ა. რაცს. პირველი დაკითხვის დროს უსმანხოჯაევი საერთოდ უარყოფდა ქრთამის აღებასა და მიცემას. შემდეგ ამ ორ გამომძიებელს, აგრეთვე უშუალო უფროსს ამხ. გდლიანს, საგამოძიებო ნაწილის ყოფილ ხელმძღვანელს გ. პ. კარაკოზოვს და გდლიანის ჯგუფში შემავალ გამომძიებელს ს. ვ. მოსკოვცევას მისცა ჩვენება, თუ ვისგან იღებდა ქრთამს. ეს მოხდა დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ.

23 ოქტომბერს, კვირას, როდესაც საერთო წესის მიხედვით საგამოძიებო მოქმედება არ წარმოებს უკიდურესი საჭიროების გარეშე, ამხ. გდლიანი და ამხ. მოსკოვცევა მივიდნენ უსმანხოჯაევთან, დაჰკითხეს, და დაკითხვის ოქმში, ხოლო შემდეგ გენერალური პროკურორის სახელზე წარდგენილ განცხადებაში გაჩნდა პარტიისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების, პროკურატურის ზოგიერთი ხელმძღვანელის გვარები, სულ 11 კაცისა. ამის შემდეგ — 25 ოქტომბრის განცხადებაში პირველად გამოჩნდა ამხ. ლიგაჩოვის გვარი.

ამავე დროს უსმანხოჯაევმა ჩემს, როგორც გენერალური პროკურორის სახელზე გამოგზავნა კიდევ ერთი განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ „გდლიანი კომპეტენტური კაცია უზბეკეთის კორუფციის საქმეებში, იცის ამ საქმის მთელი ასავალ-დასავალი, „და ამიტომ იგი, უსმანხოჯაევი ითხოვს ამ საქმის გამოძიება დაევალოთ მხოლოდ გდლიანს, ივანოვსა და მათ უშუალო უფროსს კარაკოზოვს, რომლებსაც, როგორც იგი წერს, „აბსოლუტურად ენდობა და რომ სხვა თანამშრომლებს არავითარ სერიოზულ ჩვენებას არ მისცემს".

არც მეტი, არც ნაკლები!

ამხ. გდლიანმა და ამხ. მოსკოვცევამ დადგენილი წესით არ გაატარეს რეგისტრაციაში და არ მოახსენეს გენერალურ პროკურორს მის სახელზე გამოგზავნილი განცხადებანი და კვლავ მოაწყვეს უსმანხოჯაევის დაკითხვა, მიიღეს ჩვენება, ვითომდა მას ორჯერ მიეცეს ქრთამი ამხ. ლიგაჩოვისათვის 30-30 ათასი მანეთის ოდენობით, ისე რომ, ჩვენებაში უსმანხოჯაევს არ აღუნიშნავს ქრთამის მიცემის ადგილი, დრო და კონკრეტული გარემოებანი.

ასეთივე ჩვენებანი მისცა მან 26 ოქტომბერს ამ გამომძიებლებს და დაკითხვის მონაწილე გენერალური პროკურორის მოადგილეს ამხ. ა. დ. ვასილიევს. ამასთან დაუმატა, რომ პირველი ქრთამი ვითომდა მისცა ტაშკენტში 1984 წლის ივნისში, როდესაც ამხ. ლიგაჩოვი მონაწილეობდა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის მუშაობაში, ხოლო მეორე — იმავე წლის ნოემბერში სამუშაო კაბინეტში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში, როდესაც მოსკოვში ჩავიდა რესპუბლიკის შექმნის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ფული ვითომდა გადასცა „დიპლომატ" — პორტფელებით.

მაგრამ უკვე 1 ნოემბერს, წაყენებული ბრალდების ფართო წრის გამო შემდეგ დაკითხვაზე, რომელიც გდლიანის დაუსწრებლად მოაწყვეს გენერალური პროკურორის მოადგილემ ვასილიევმა და მოსკოვცევამ ხმის ჩაწერის გამოყენებით, უსმანხოჯაევმა უარი თქვა ამხ. ლიგაჩოვის მიმართ ჩვენებებზე და განაცხადა, რომ მისთვის ფული არ გადაუცია. ამასვე ამტკიცებდა შემდგომ დაკითხვებზეც, სადაც თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი ჩვენება მიეცა.

ამრიგად, ამ ვერსიამ ხუთ დღეს გაძლო.

ა. წ. 8 მარტს უსმანხოჯაევმა საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციის მეშვეობით გამოგზავნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელზე განცხადება, რომელშიც იუწყება, რომ უარს ამბობს ჩვენებებზე, სადაც ბრალს სდებდა ცენტრის სხვა მუშაკებს.

გავითვალისწინე რა ეს გარემოება, აგრეთვე მისი დაჟინებული თხოვნა შეხვედროდა გენერალურ პროკურორს, 1989 წლის 8 აპრილს დავკითხეთ მე, ჩემმა მოადგილემ ამხ. ა. დ. ვასილიევმა და პროკურორმა ამხ. ი. კ. ტიტოვმა.

დაკითხვაზე უსმანხოჯაევმა განაცხადა, რომ წინათ მის მიერ დასახელებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკებს ამხანაგებს ლიგაჩოვს, კაპიტონოვს, სოლომენცევს და ზოგიერთ, სხვა პირს ცილი დასწამა.

მორიგ დაკითხვაზე 17 მაისს, რომელსაც აწარმოებდა საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელი დუხანინი ამხ. ა. დ. ვასილიევისა და ი. კ. ტიტოვის მონაწილეობით, უსმანხოჯაევმა ილაპარაკა რა მიზეზებზე, რომლებმაც აიძულეს განზრახ მიეცა ცრუ ჩვენებები განმარტა: „გდლიანმა დამისახა კონკრეტული ამოცანა„ მიმეცა ჩვენებანი, რომ ქრთამს ვაძლევდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს, აშკარად დამისახელა ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, სოლომენცევის, კაპიტონოვის, მოგილნიჩენკოს, ბესარაბოვის, სმირნოვის, იშკოვის, ტერებილოვისა და ზოგიერთი სხვა გვარი".

ილაპარაკა რა პირველ დაკითხვებზე მათი არსის შესახებ, მან თქვა: „კარაკოზოვმა მითხრა, არის რეკომენდაცია, დაასახელო ისინი, ვისგანაც იღებდი და ვისაც აძლევდი ქრთამს, და მაშინ არ მოგცემენ რვა წელიწადზე მეტს, ხოლო შემდეგ მათი დახმარებით, შეიძლება კიდეც შეგიწყალონო. მან დამისახელა ორლოვი და ხუდაიბერდიევი, რომლებსაც ვითომდა ჩემთვის მოეცეთ ქრთამი. ასეთი ფაქტები არასდროს არ ყოფილა, ხსენებულ პირთაგან მე ქრთამი არ მიმიღია, ყოველივე ეს ტყუილი იყო.

მაშინვე მითხრეს, რომ ჩემს საქციელთან დაკავშირებით გამოძიება ხელს მოჰკიდებს ჩემს შვილებს. ახლა დეტალურად აღარ მახსოვს ის საუბარი, მაგრამ მან ჩემზე შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. შემეშინდა როგორც საკუთარი თავის, ისე მთელი ოჯახისათვის".

განაგრძობდა რა თავის ჩვენებებს, უსმანხოჯაევმა განაცხადა.

„საკანში სრულიად დათრგუნული დავბრუნდი. ჩემთან ერთად იყო ყმაწვილი კაცი. მან მითხრა, რომ ახლა გამომძიებლები პირზე დამაყენებენ ვიღაც-ვიღაცეებს, ხმას ჩამაკმენდინებენ და ამიტომ ჯობია რაღაც თანხა აღიაროო. აქვე მომიყვანა შავ დღეში ჩავარდნილი ოსეტროვის მაგალითი, რომელსაც ჯიუტად არ სურდა გამომტყდარიყო და ვითომდა თვითონვე შეიქმნა თავისთვის აუტანელი პირობები. მე არ ვიცოდი რა მეღონა, ვმერყეობდი. ვერ გამეგო რაში უნდა გამოვმტყდარიყავი. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ დამეწერა განცხადება აღიარებით".

შემდეგ უსმანხოჯაევმა აჩვენა: „მე მიმიღო გდლიანმა. ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა მიზანმიმართული ფსიქოლოგიური დამუშავება. მე განმიმარტეს, რომ არსებობს გამოძიებაზე ქცევის ორი ვარიანტი, დუმილი და აღიარება. თუ ჩუმად ვიქნები, მაშინ მხოლოდ გავუადვილებ საქმეს გამომძიებლებს, რომლებიც თავისუფალი იქნებიან და იმდენს გამოავლენენ, რომ მე ვერცკი წარმოვიდგენ". მინდა — განაცხადა გდლიანმა, — გამოგივლენ 7 მილიონ ქრთამს, მინდა — 5 მილიონს". მე ახლა ვაცხადებ, რომ ლიგაჩოვსა და ბევრ სხვას ცილი დავწამე იმიტომ, რომ ასე სჭირდებოდა გდლიანსა და ივანოვს. ამ პირებისათვის ქრთამი არ მიმიცია, გამოძიების დროს რამდენჯერმე ვცადე უარი მეთქვა „ზევით" ქრთამის მიცემის ჩვენებებზე, რაც პირდაპირ ვუთხარი ივანოვს. ივანოვი მიჩიჩინებდა არ მეთქვა უარი „ზედა ფენებზე". იგი მეუბნებოდა, „ზედა ფენა" ჩემი ხსნაა, ჩემი „ქოლგაა" და მას უნდა ჩავეჭიდოო. რომ არ ყოფილიყო „ზედა ფენა", ჩემი საკითხი კარგა ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა".

უსმანხოჯაევის ჩვენებათა უტყუარობის შემოწმების და მათი ობიექტური შეფასების მიზნით სსრ კავშირის პროკურატურაში დავკითხეთ ამხ. ი. კ. ლიგაჩოვს, რომელმაც აჩვენა, რომ ნამდვილად მონაწილეობდა 1984 წლის ივნისში უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის მუშაობაში, სადაც წარმოთქვა სიტყვა პარტიული ცხოვრების ნორმების, სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევათა აღკვეთის, რესპუბლიკაში მექრთამეობისა და ბოროტმოქმედების გავრცელების შესახებ. მოგვიანებით უსმანხოჯაევი ნამდვილად ჩამოვიდა მოსკოვში და იყო სკკპ ცეტრალურ კომიტეტში. უსმანხოჯაევის განცხადება მისთვის ფულის გადაცემის შესახებ ლიგაჩოვმა შეაფასა როგორც აშკარა ცილისწამება და სახელგატეხა, ვინაიდან ასეთი რამ სინამდვილეში არ ყოფილა და თქვა, რომ იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძღვენის და საჩუქრების, თვით სუვენირებისა. არასდროს არავისთვის არ მიუცია არავითარი საბაბი ეჭვი შეეტანათ მის წესიერებასა და პატიოსნებაში.

საქმის გამო დაკითხულმა მოწმემ მალიშევმა, დაცვის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც პასუხს აგებდა ამხ. ლიგაჩოვის უსაფრთხოებისათვის და მასთან ერთად იყო მივლინებული უზბეკეთში 1984 წლის ივნისში, განმარტა, რომ მივლინების პერიოდში ლიგაჩოვს საერთოდ არავითარი „დიპლომატი" არ ჰქონია. და კატეგორიული ფორმით უარყო ამხ. ლიგაჩოვისათვის მისი გადაცემის ყოველგვარი შესაძლებლობა.

მოწმეებმა ლეგოსტაევმა, ტარასოვმა, რომლებიც ამხ. ლიგაჩოვს ახლდნენ ამ მივლინების დროს, აჩვენეს, რომ მას რაიმე არაოფიციალური კონტაქტები, შეხვედრები და საუბრები რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან სხვა პირთა არყოფნის დროს არ ჰქონია. სუვენირები და საჩუქრები არ მიუღია. მათვე, აგრეთვე მოწმემ მიხაილოვმა განაცხადეს, რომ უსმანხოჯაევსა და სხვა პირებს არავითარი ძღვენი არ მიურთმევიათ ამხ. ლიგაჩოვისათვის არც მოსკოვში.

ამრიგად, გამოძიების პირველ ეტაპზე უსმანხოჯაევისაგან მიღებული ცნობები იყო განზრახ გაყალბებული, დადგენილია ამხ. ლიგაჩოვისათვის ცილის დაწამება, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე ამ ნაწილში შეწყვეტილია დანაშაულის ხდომილების არარსებობის გამო.

როგორც იცით, პროკურატურამ შეწყვიტა საქმე აგრეთვე სმირნოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების ყოფილი სექტორის გამგის, ხოლო შემდეგ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მიმართაც.

პრაქტიკულად დამთავრებულია შემოწმება, ასევე საგამოძიებო გზით, ამ გამომძიებელთა არაერთგზისი საჯარო განცხადებებისა ცენტრალური, პარტიული და სხვა ორგანოების დანარჩენ ხელმძღვანელ მუშაკთა მიმართ.

არ მინდოდა, ამხანაგებო, დღეს წინასწარ მეთქვა გამოძიების საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ სრულიად გარკვევით და პასუხისმგებლობის გრძნობით შემიძლია ვთქვა, შემოწმებაზე, საპროცესო დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომ ამ მუშაკთა მიმართაც ჩვენებანი მოპოვებულია შანტაჟის იგივე მეთოდებისა და, ვთქვათ დაუფარავად, ფალსიფიკაციის გზით.

გდლიანის ხელმძღვანელობით მოქმედ საგამოძიებო ჯგუფში კანონიერების დარღვევის შესახებ მრავალ სიგნალთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მისი გამოძიება. უდავოა, გამოძიებულ იქნება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობასთან. ამის შესახებ ვაცნობებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სპეციალურ კომისიას, რომელიც სახალხო დეპუტატთა ყრილობამ შექმნა.

მაინც, რატომ აღიძრა ეს საქმე? ვიტყვი, ამხანაგებო, გარდა იმისა, რაც თქვენ უკვე მოისმინეთ, პროკურატურაში შემოვიდა ასობით წერილი და განცხადება, და არა მარტო დაპატიმრებულთა და მსჯავრდებულთა, მათი ახლობელთაგან, არამედ აგრეთვე თანამდებობის პირების, ომისა და შრომის ვეტერანების, სახალხო დეპუტატებისაგან კონკრეტული მამხილებელი ფაქტებით — აბუჩად აგდების შესახებ, რასაც კანონის სახელით სჩადიოდნენ. ადამიანები გვაცნობებდნენ და გვაცნობებენ უკანონო დაკავებისა და დევნის, პირადი ქონების არამართლზომიერი ჩამორთმევის, მოქალაქეთა შრომითი და სხვა უფლებების დარღვევის შესახებ.

ყოველივე ეს გულდასმით უნდა შემოწმდეს. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ერთი გამოძიების დეტალებსა და დაშვებულ დარღვევებში ღრმად გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ გამოძიების გზით, საპროცესო ნორმების მკაცრად დაცვით.

შემიძლია აღვითქვათ, რომ მას ეწევიან პატიოსანი, გამოცდილი და კვალიფიციური სსრ კავშირის პროკურატურის მუშაკები საპროცესო ნორმების ზუსტ ფარგლებში.

უკვე დადგენილია თვითნებობის აღმაშფოთებელი ფაქტები: ყოვლად უდანაშაულო მოქალაქეთა ათობით უკანონო დაკავება და დაპატიმრება, მათი სატუსაღოში ყოლა რამდენიმე დღიდან ცხრა თვემდე ვადით. გავრცელებულ ხასიათს ატარებდა ოჯახების, ღრმად მოხუცებული პირების, მრავალშვილიანი ქალების დაპატიმრება. ამ აქციებს იყენებდნენ კანონსაწინააღმდეგო მეთოდად, რათა აეძულებინათ დასაკითხნი მიეცათ გამოძიებისათვის საჭირო ჩვენებანი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ პრობლემა, რომლის ირგვლივ ახლა საზოგადოებრივი ვნებათაღელვის კონცენტრირება ხდება, თვით ამ გამომძიებლებმა შექმნეს. მათ თავი წარმოიდგინეს მაფიის წინააღმდეგ ერთადერთ მებრძოლებად და, ისარგებლეს რა პროკურატურის ხელმძღვანელობის მხრივ მრავალი წლის ხელმიშვებით, ისინი ფაქტობრივად ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ. არ უწევდნენ ანგარიშს სამსახურებრივ დისციპლინას, პროფესიული ეთიკის ნორმებს, კანონს.

ისარგებლეს რა გზახსნილი საჯარო ტრიბუნით მათ გააჩაღეს უპრეცედენტო თავდასხმები უმაღლეს სასამართლოზე, წამოიწყეს და განაგრძობენ ავანტიურისტულ პროპაგანდისტულ აურზაურს, რათა პირდაპირ ვიტყვი, სახელი გაუტეხონ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, თავგზა აუბნიონ მოსახლეობას და ამასთანავე შეიძინონ პოლიტიკური კაპიტალი. ამავე დროს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ისინი ჯიუტად არიდებენ თავს პროფესიულ სჯა-ბაასს იურისტებთან. უკვე ნახევარი წელია ამ სჯა-ბაასისათვის მოვუწოდებთ მთელი აპარატი, მთელი კოლეგია. გვემალებიან. ეტყობა, მათ უფრო მოსწონთ მიტინგური „მართლმსაჯულება". ბოლო დროს, როდესაც იგრძნეს მოახლოებული სრული გამოაშკარავება, გდლიანი და ივანოვი, როგორც იტყვიან, ვა-ბანკს ჩამოვიდნენ. დაიწყეს უსაბუთო ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რაღაც დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებზე. აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ახლა უკვე პირდაპირ უწოდებენ მექრთამეებს კონკრეტულ პირებს ყოფილი და ახლანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირთაგან. თუმცა მე კიდევ და კიდევ ვამბობ, რომ მსგავსი არაფერი საერთოდ არ არის. და ასეთი მტკნარი ტყუილებით აძლევენ ეს კომუნისტები ინტერვიუს საზღვარგარეთის რადიოსადგურებს. მე არ გამიკვირდება, ამხანაგებო, თუ ხვალ გავხდებით ახალი უპასუხისმგებლო გამოხდომების, სენსაციების და ფალსიფიკაციის მოწმენი.

უკვე მრავალი თვეა ისინი არაფერს არ აკეთებენ პროკურატურაში და დეპუტატის მანდატს ამოფარებულნი, დადიან ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ, ამხედრებენ ადამიანებს, არ ერიდებიან გამოსვლას ესტრადის სცენაზეც. გაუთავებლად აინტრიგებენ ობივატელებს რაღაც მამხილებელი მასალით, რომელიც ვითომდა შენახული აქვთ, მაგრამ რომელსაც მრავალი თვეა რატომღაც არ უჩვენებენ არც მართლმსაჯულების ორგანოებს და არც ყრილობის კომისიას.

მაგრამ მათ, როგორც იურისტებმა, გამომძიებლებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ გამოძიების მასალების ყოველგვარი განზრახ დამალვა, თუკი ეს ხდება, ეს არის, თუ გნებავთ, მართლმსაჯულების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგო, გვაოცებს ისიც, რომ მათ ჰყავთ თანამგრძნობნი, რომლებიც ერთად გამოდიან მიტინგებზე. ესენი არიან დარბაისელი ხალხი, მაგრამ მათ ერთხელაც არ შეიწუხეს თავი თუნდაც დალაპარაკებოდნენ პროკურატურის ხელმძღვანელებს, ელემენტარულად ეკითხათ, მაინც, რა მოხდა სინამდვილეში. პრაქტიკულად, ამხანაგებო, მოსეირეთა პოზიციიდან ადევნებს თვალს ამ გამომძიებლების, მათი დესპანების პროვოკაციულ ფაცაფუცს ბევრი პარტიული კომიტეტიც. ასეთი პოზიცია ხელს აძლევს მხოლოდ ავანტიურისტებს.

გასაგებია, რომ საკითხი, რომელზეც მე დღეს გამოვდივარ სცილდება კონკრეტული საქმის, თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი საქმის ფარგლებს. აქ ხომ საქმე ეხება სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საკვანძო პრობლემას, კანონიერებას ცხოვრების ყველა სფეროში, კანონიერებას, რომელიც წინათ ასე გვაკლდა.

სიტყვას იღებს **ი. კ. ლიგაჩოვი:** უწინარეს ყოვლისა, მინდა კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილება XXVIII პარტიული ყრილობის მოწვევისა და პარტიის თანამედროვე ეროვნული პოლიტიკის შესახებ. ჩემი აზრით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი ძალით ცხადყო, რომ ჩვენს პარტიას საზოგადოებაში წამყვანი როლი უკავია გარდაქმნის, სოციალისტური მშენებლობის პრობლემათა დამუშავებაში. ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ეს საკადრისი პასუხია იმათთვის, ვისაც კონსტრუქციული წინადადებანი არა აქვს და ცდილობს დასწამოს პარტიას თითქოს მას არ გააჩნია სამოქმედო პროგრამა. ეს არის პირველი, რაც მინდოდა მეთქვა.

შემდეგ. როგორც ა. ი. სუხარევმა თქვა, სსრ კავშირის პროკურატურამ საგულდაგულო გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ „დანაშაულის ხდომილება" არ ყოფილა.

ეს იურიდიული ტერმინია. რას ნიშნავს ეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ? ეს არის ბოროტი განზრახვა, ეს არის ცილისწამება და პროვოკაცია.

როგორც მოქალაქეს, მე რა თქმა უნდა, ახლა შემეძლო მიმეღო შემდგომი ზომები ცილისმწამებელთა მიმართ კანონის შესაბამისად. მაგრამ მე პატივს ვცემ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ნებას, რომელმაც, როგორც ცნობილია, შექმნა თავისი კომისია გამომძიებელთა ცნობილი ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესასწავლად. სიტყვამ მოიტანა, და ამასთან დაკავშირებით მე არსად არ გამოვსულვარ პრესაში. არადა, გამომძიებლები გამოდიან ტელევიზიით, აწყობენ ბრიფინგებს და ესტრადასაც არ თაკილობენ.

მინდა, ვთქვა, რომ მივიღე ბევრი წერილი და დეპეშა, სადაც გამოთქმულია ამხანაგური მხარდაჭერა და გამხნევება. როგორც ცნობილია, მხარდაჭერის სიტყვები გაისმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, ქვეყანაში მოგზაურობის დროს. არ დაგიმალავთ, ნდობა და ამხანაგური სოლიდარობა მამხნევებს და ძალებს მმატებს.

ალბათ, გესმით, რა გადავიტანე ამ თვეების განმავლობაში. იარები, რა თქმა უნდა, დამრჩა. ალბათ, ეს ადამიანურად შეიძლება გაიგოს კაცმა. მაგრამ მე სიტყვა ვითხოვე და მინდა ვთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს საქმე ჩემში არ არის. საკითხი სულ სხვაა.

ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, უნდა ვხედავდეთ, რომ კომუნისტების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, მწერლების, მეცნიერების, ხელმძღვანელების თათხვა როგორც ცენტრში ისე ადგილებზე, გახდა გავრცელებული დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. აი, რა არის საკითხი.

ორი გამომძიებელი სახალხოდ ანთხევს ცილისწამებისა და დემაგოგიის ბალღამს პარტიაზე, პოლიტბიუროზე, ცენტრალური კომიტეტის აპარატსა და მართლმსაჯულების ორგანოებზე. უფრო მეტიც, მათ შეაცდინეს, მოატყუეს ათასობით ადამიანი და თავიანთი ამომრჩევლები. და ამდენი ხანია მათ კაციშვილი არაფერს არ ეუბნება. პირდაპირ ვიტყვით, საჯაროობითა და დემოკრატიით ასეთი პარაზიტობა სულაც არ არის ერთეული ფაქტი.

მე მგონი, ეს უაღრესად საშიში პოლიტიკური მოვლენაა. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ იგი ვითარდება და ეფექტიანი ხერხი ხდება შორსმიმავალი მიზნების მიღწევაში. რა მიზნებია ეს? შუღლი ჩამოაგდონ პარტიასა და ხალხს შორის, კომუნისტებსა და პარტიულ კომიტეტებს შორის, სახელი გაუტეხონ პრინციპულ მუშაკებს და გაიყვანონ თავიანთი ხალხი ხელისუფლებაში.

პოლიტიკურ კარიერისტებს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, არა აქვთ მტკიცე იდეები. ესენი უპატიოსნო ადამიანები არიან.

ავიღოთ, მაგალითად, უზბეკეთში კორუფციის საქმე. ამ ფაქტების მხილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დაიწყო 1983 წლის დამლევს და მთელი ძალით გაიშალა ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ. პოლიტბიურომ ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა ჯგუფსა და მათ შორის მეც, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანს დაგვავალა ძირფესვიანად შეგვესწავლა ეს საკითხი.

ჩვენ ვმოქმედებდით პოლიტიკური მეთოდებით, ვეყრდნობოდით რა რესპუბლიკის კომუნისტებსა და შრომითს კოლექტივებს. უზბეკი ამხანაგების გარეშე, რომლებმაც გულისტკივილით და შეშფოთებით აღიქვეს ყველაფერი, რაც მაშინ მათს რესპუბლიკაში მოხდა, ცოტა რამის გაკეთება თუ შეიძლებოდა ნამდვილად. მუშაობის დიდი მოცულობა დააწვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საკავშირო პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ასობით თანამშრომელს.

და აი, მიაქციეთ ყურადღება. იყო მასირებული ცდები საზოგადოებრივი აზრის თვალში სახელი გაეტეხათ ცენტრალური კომიტეტის ჯგუფიდან ფაქტობრივად ყველა მუშაკისათვის, აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოების მრავალი თანამშრომლისათვის. ერთხელ კიდევ გავამახვილებ საკითხს: რატომ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებმაც გაბედულად და უკომპრომისოდ მოჰკიდეს ხელი მექრთამეობასთან ბრძოლას, სწორედ მათ ჩასცეს შურისგების ლახვარი, რატომ სწორედ მათ მიაყენეს ეჭვის ჩრდილი. რატომ?

სხვა მომენტი. გარდაქმნის დასაწყისშივე მრავალი კომუნისტი, მუშა, სამხედრო, პარტიული მუშაკი გამოსვლებსა და სტატიებში ყურადღებას უთმობდნენ იმას, რომ საჭიროა პატივისმცემლური დამოკიდებულება ჩვენი ისტორიისადმი, სოციალიზმის მშენებლობაში მთელი თაობების წვლილისადმი, რომ დაუშვებელია საზოგადოების ცხოვრებაში მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის როლის დაკნინება, რომ საჭიროა ერთა დაახლოება მათი ყოველნაირი განვითარების მეშვეობით, პასუხისმგებლობა პარტიის ერთიანობისათვის, რომ საშიშია ჩვენს ცხოვრებაში უცხო იდეალებისა და სულიერი ღირებულებების შემოტანა.

რამდენი პირდაპირი და შენიღბული გამოხდომა იყო, მაგრამ ყოველთვის გაწაფული, იმათ წინააღმდეგ, ვინც ამის შესახებ ლაპარაკობდა, ვინც წერდა, ვინც იდგა და დგას მტკიცე პოზიციებზე, ვინც არ მალავს თავის იდეურ მრწამსს და არ დუმს. სხვათა შორის, დუმილიც, როგორც მოგეხსენებათ, პოზიციაა. და ასეთი ამხანაგები ჩვენში არიან.

პირდაპირ ვიტყვი, როგორც კი შარშან გაზაფხულზე ერთმნიშვნელოვნად გავილაშქრე ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის საზღვრების გადაკეთების წინააღმდეგ, სხვათა შორის, როგორც კი უბრალოდ შევეხე გასული წლის თებერვალში მიღებულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, მაშინვე პირდაპირ აფეთქდნენ ნაციონალისტები, და მათმა სვლებმაც არ დააყოვნა. ყოველივე ეს ერთი ცნობილი კუთხიდან მომდინარეობს.

თუ საგნებს თავის სახელებს ვუწოდებთ, ქვეყნის ცალკეულ რაიონებში მიმდინარეობს აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, მიმდინარეობს მწვავე პოლიტიკური ბრძოლა, მისი კლასობრივი ფესვები მეტისმეტად გაშიშვლდა. პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში დგას ქვეყნის განვითარების გზების საკითხი. ერთნი, ისინი კი უმრავლესობას შეადგენენ, იმის მომხრენი არიან, რომ განუხრელად ვიაროთ წინ გარდაქმნის, საზოგადოების განახლებისა და სოციალისტური მშენებლობის გზით. სხვები იმის მომხრენი არიან, რომ გადავუხვიოთ კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ, შემოვიღოთ კერძო საკუთრება ეკონომიკაში და მრავალპარტიულობა პოლიტიკურ სისტემაში.

ვფიქრობ, თქვენც იმასვე განიცდით, რასაც მე, როცა ხშირად ხართ კოლექტივებში, სადაც ადამიანები გაყრიან კითხვებს: როდის გაეცემა ნამდვილი საკადრისი პასუხი ანტისოციალისტურ ძალებს, ნაციონალისტებსა და სეპარატისტებს? მათ ხომ უკვე ამდენი უბედურება მოუტანეს ხალხს! მათი ნებით დაიღუპა ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი, გაჩნდა ათასობით დაჭრილი, არის ასიათასობით ლტოლვილი. მრავალი ადამიანი კი უბრალოდ შიშობს თავისი სიცოცხლისა და თავისი ოჯახისათვის.

გუშინ მიხეილ სერგის ძემ ბრძანა, რომ ნუ ვინერვიულებთ. მე მგონი — ეს ძალზე კეთილი და დროული რჩევაა. ვიჩენთ რა გამძლეობას, უნდა დავიცვათ ჭეშმარიტად დემოკრატიული წესრიგი საზოგადოებაში და განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება. თუ ჩვენ წავაქეზებთ ნაციონალისტებს, სეპარატისტებს, ცილისმწამებლებს, მათ კი უკვე ბევრ რამეს მიაღწიეს, გარდაქმნა უეჭველია, დამარცხდება.

აი რა არის, მე მგონი, საკითხი. სწორედ იმათი მხრიდან, ვინც გვიბიძგებს კაპიტალისტური გზისაკენ, ვისაც სურს დაანგრიოს ჩვენი კავშირი, ნაციონალისტებისა და იმათი მხრიდან, ვინც „დემოკრატიულობანას" გვეთამაშება, სწორედ აქედან ექმნება გარდაქმნას მთავარი საფრთხე. და არა იმათი მხრიდან, რომლებსაც ისინი განზრახ აწებებენ „კონსერვატორთა" იარლიყებს სოციალიზმის, ხალხის რწმენისათვის და ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულებისათვის. დროა უკვე კარგად დავინახოთ და ერთ დაფაზე არ დავაყენოთ ისინი.

პარტიული კომიტეტების მოვალეობაა მე ვფიქრობ, თქვენ დამეთანხმებით, უზრუნველყონ პატიოსანი ადამიანების, გარდაქმნისათვის ნამდვილი მებრძოლების დაცვა, გაილაშქრონ ცილისმწამებლებისა და ინტრიგანების წინააღმდეგ — რა თქმა უნდა, კანონისა და საზოგადოებრიობის ძალის გამოყენებით. ხოლო იმათთან, ვინც ნამდვილად ცდება, დღენიადაგ უნდა ვეწეოდეთ დიალოგს და ვარწმუნებდეთ ჩვენი საქმის სიმართლეში. საჭიროა აგრეთვე ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ კონსტრუქციულ კრიტიკას, ვაძლიერებდეთ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან. ეს ჩვენი, უნდა ვიფიქროთ, წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

და ბოლოს. მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ახლა ადამიანთა მზერა და მათი იმედები მიპყრობილია კომუნისტური პარტიისადმი. ვიზიარებ რწმენას, რომ სოციალიზმის განახლება, იმ უდიდესი შესაძლებლობების გამოვლენა, რომლებსაც იგი შეიცავს, შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებით. წინადადება — შევზღუდოთ ჩვენი პარტიის ფუნქციები, ის კი არა და, სრულიად ჩამოვართვათ მათ ზოგიერთი მათგანი — ახალი არ არის. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების ხელმძღვანელობისაგან კომუნისტების ჩამოშორებას.

საქმე ეხება პარტიის ხელმძღვანელი, და არა მარტო მაკოორდინირებელი, როლის განმტკიცებას და უწინარესად — მისი განახლების, შინაპარტიული ცხოვრების ფართო დემოკრატიზაციის ხაზით, პრაქტიკული მუშაობის ფორმების, საშუალებებისა და ხერხების ხელახალი გააზრების ხაზით, ესე იგი იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა და მითუმეტეს ახლა ვერ იქნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ პარტია, რომელსაც არ შესწევს განახლებისა და გარდაქმნის უნარი, მას უნარი არ შესწევს იყოს მმართველი პარტია. ეს სავსებით ცხადია. აი რატომ არის, რომ გარდაქმნის პირველ პლანზე გამოდის პარტიის ერთიანობის, მისი რიგების იდეურ-ორგანიზაციული შეკავშირებისა და მასებთან პარტიის კავშირის გაძლიერების ამოცანა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ახლა ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენი უმთავრესი საზრუნავია. განა დასაშვებია, როცა კომუნისტთა ჯგუფები და პარტიული მუშაკებიც კი მონაწილეობენ ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებაში, ანტისოციალისტური ხასიათის თავყრილობებში. ამავე დროს ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეასუსტონ, სახელი გაუტეხონ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, ის კი არა და, სრულიად ამოიღონ იგი წესდებიდან. ამოცანა კი ის არის, რომ განვამტკიცოთ პარტიის დისციპლინა და განუხრელად დავიცვათ წესდების მოთხოვნები. უამისოდ ვერ იქნება პოლიტიკური პარტია, ლენინური ტიპის პარტია.

ძალზე საჭიროა შევიგნოთ, რატომ დაიჯერა ადამიანთა ნაწილმა ხელმძღვანელთა უსაფუძვლო ბრალდებანი. ეს კი ფაქტია, მწარე, მაგრამ ფაქტი. იმიტომ, რომ რეალურ ცხოვრებაში იყვნენ რაშიდოვები, ჩურბანოვები და სხვები, ადამიანები კი კვლავინდებურად აწყდებიან ფულის შეწერისა და გამოძალვის ფაქტებს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა გავაძლიეროთ ბრძოლა ამ ბოროტებასთან, ამ საზიზღარ მოვლენასთან, და ვიყოთ აქ ყოველთვის დაუნდობელნი.

რა თქმა უნდა, ყველა პრობლემის მიღმა მუდამ უნდა ვხედავდეთ ადამიანს, მის ყოველდღიურ საზრუნავს, ვხედავდეთ მთავარს: მეტი ბინები, მეტი საქონელი, მეტი შესაძლებლობანი, რომ უკეთ იცხოვრონ როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით. მაგრამ მაინც საკითხთა საკითხია სურსათი. ეს რომელიმე უწყების პრობლემა კი არა, როგორც სოფლის ისე ქალაქის საყოველთაო საზრუნავია.

დარწმუნებული ვარ, რომ თუ პარტიის ყველა რგოლს დავუბრუნეთ მებრძოლურობა და ვიმუშავეთ დემოკრატიული მეთოდებით, განვამტკიცეთ პარტიის კავშირი მასებთან, უეჭველია პრაქტიკული მუშაობით დავძლევთ საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას, განვამტკიცებთ პარტიის ავტორიტეტსა და მისდამი ნდობას.

მე, ისევე როგორც თქვენ, ოპტიმისტი ვარ. მწამს ჩვენი საერთო საქმე, მწამს გარდაქმნა; მწამს კომუნიზმი. ჩემი აზრით, ის რაც პარტიამ დასახა, ის რითაც ხალხია დასაქმებული — არის ჩვენი ქვეყნის გასვლა ახალ სოციალისტურ, თვისებრივ მიჯნებზე. ჩვენ მხოლოდ მეტი უნდა ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ ყველამ და თითოეულმა და უზრუნველვყოთ რეალური შედეგები. ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის ხდება.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს **ვ. ი. სმირნოვს.**

თქვენდა საყურადღებოდ და განსახილველად, თქვა ორატორმა, შემოტანილია პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა და გამოსვლების განხილვის ლოგიკური განგრძობაა. ეს-ეს არის ამხ. სუხარევმა მოგვახსენა ი. კ. ლიგაჩოვის მიმართ ცილისმწამებლური ხასიათის მასალების შესწავლის შედეგი. სსრ კავშირის პროკურატურამ დაადასტურა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა მთელი აბსურდულობა.

ამ ბოლო ხანს მკვეთრად გაძლიერებული თავდასხმები პარტიაზე, მის ხელმძღვანელებსა და ადგილობრივ წარმომადგენლებზე სულაც არ არის ისე უწყინარი, როგორც ზოგ-ზოგებს ჰგონიათ. ათასჯერ გამეორებული სიცრუე და განსაკუთრებით ტყუილნარევი სიმართლე შესამჩნევ კვალს ტოვებს ადამიანთა გონებასა და გულში. რა დგას ზნე-ჩვეულებების ამ დაკნინების მიღმა. კარგახსნილობისა და საჯაროოს სიკეთით სარგებლობის უუნარობა? კულტურის ჩვეულებრივი ნაკლებობა? თუ სავსებით გააზრებული ცდა და გეზიც კი თავს მოგვახვიონ საჯარო ურთიერთობის ახალი სტილი, შექმნან საკუთარი გარემო და ორგანიზაციული სტრუქტურა?

გავიფიქრე: მოდი გვერდზე გადავდებ-მეთქი ვრცელ ინტერვიუებს, რომლებსაც უხვად იძლეოდნენ გდლიანი და ივანოვი ჩვენი და საზღვარგარეთის პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოსათვის, გამძაფრებულ გამოსვლებს მიტინგებზე, კრებებზე, საღამოებსა და როკ-ანსამბლების კონცერტებზეც კი, როგორც ამას წინათ ყირიმში იყო. მათი ლაიტმოტივი ერთია — სულაც არა სკკპ ცენტრალური კომიტეტი, არამედ სწორედ ისინი მოგვევლინენ საზოგადოებაში სიბილწესთან ბრძოლის ინიციატორებად, სწორედ ისინი და სხვა არავინ ეწევიან საშიშ და უთანასწორო ბრძოლას თითქოსდა პარტიაში მოკალათებულ რეაქციონერებთან და მექრთამეებთან.

ბევრი მოერიდებოდა მათ, ყველაფერი ჩაივლისო, ემანდ შარს არ გადავეყაროო. მაგრამ ყველაფერი უფრო რთულად არის. საქმე ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოკვეთილ მოვლენას — პოლიტიკურ ექსტრემიზმს. საყოველთაოდ ცნობილია პარტიის კურსი ორგანიზებული დამნაშავეობის, მექრთამეების, სპეკულანტების მიმართ, მოქალაქეთა ქონებისა და ღირსების ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებების მიღებისათვის. ჰოდა, აი თავიანთ სამსახურებრივ საქმიანობაში ეს ადამიანები ამ ბოლო დროს პრიორიტეტს ანიჭებენ „სენსაციურ" განცხადებებს, უსაფუძვლო ბრალდებებს, მთელ რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეთა შეკოწიწებას, პროვოკაციულ ხერხებს. და ყველაფერი ეს დაუქვემდებარეს თავიანთი შორსმიმავალი პოლიტიკური და კარიერისტული მიზნების მიღწევას.

რადგან სწორედ გდლიანი და ივანოვი გამოდიან „მოთავეთა" შორის ყველაზე აქტიურად და თავხედურად, მეც ამიტომ მივაპყრე მთელი თქვენი ყურადღება მათ. მით უმეტეს, რომ ისინი, აძლიერებენ რა თავიანთ ექსტრემისტულ პოლიტიკურ ბრძოლას, სულ უფრო ხშირად იყენებენ ყოველგვარ ცილისწამებას, ყოველგვარ მონაჩმახს, ოღონდ საქვეყნოდ შეარცხვინონ ხალხი, თავს ლაფი დაასხან და სხვას არაფერს დაგიდევენ, მოქმედებენ პრინციპით, — თავსლაფის დასხმა ჩვენზე იყოს, მისი ჩამორეცხვა კი ჩვენ არ გვეხებაო.

დიდის ამბით, საქვეყნოდ მოაქვთ თავი სიმართლის მაძიებლებად და ამასთანავე წამდაუწუმ მიმართავენ [illegible] ცილისწამებას, გამუდმებით ჩქმალავენ და აჩუმათებენ რაღაცას, ან აუკუღმართებენ ფაქტებს, გამოდიან პროვოკაციული განცხადებებით, ამხანაგები ლიგაჩოვი, სოლომენცევი, რეკუნკოვი, ტერებილოვი, გუსევი, აფანასიევი, ზახაროვი და ბევრი სხვა ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე მექრთამეები არიანო. აღარაფერს ვამბობ იმათზე, ვინც ნაკლები რანგისაა. გამუდმებული ბინძური ინსინუაციების ობიექტი ვარ მეც, ვინაიდან დაბრკოლებად გადაველობე დანაშაულებრივ გზაზე, ვერ შევურიგდი პატიოსანი ხალხისათვის ცილის დაწამებას და კატეგორიულად უარვყავი ჩემს წინააღმდეგ შეთითხნილი შემზარავი ბინძური ბრალდებანი. ახლაც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შექმნან მცდარი საზოგადოებრივი აზრი და მე, ივანოვის თქმით, „გირაოდ" დამიტოვონ, რითაც შანტაჟს გაუწევენ სხვებს და განაგრძობენ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, მთლიანად პარტიის სახელისგატეხის კამპანიას.

მაგრამ ჩემში როდია საქმე, მთავარი უბედურებაა 30-50-იანი წლების ექსპერიმენტის გამეორების გლობალური მასშტაბი. „ავანგარდისტებს" ყოველთვის ჰქონდათ თავიანთი დოსიეები, ვიშინსკის მიმდევრებსაც ჰქონდათ შედგენილი ასეთი დოსიეები, რომელთა მასალები ობიექტური შერაცხადობის პრინციპს ემყარებოდა. ისინი ძირითადად დაფუძნებული იყო საკუთარი თავის დადანაშაულებასა და სხვათა ცილისწამებაზე. ასეთი „ჩვენებების" მისაღებად მიმართავდნენ ფიზიკური, ფსიქოლოგიური ტერორისა და შანტაჟის მეთოდს. და აი, ხალხს ახლაც გაუხსენა ღამით კარს მოკაკუნების შიშმა, გაუხსენა ცალკეულ „სიმართლის ქომაგთა" წყალობით, რომლებსაც ხალხის სათათხავ არსენალში დაუბრკოლებლად უთმობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა აუდიტორია მილიონობით კაცს შეადგენს.

ეს მექანიზმი უდავოდ ღირსია იმისა, რომ შევისწავლოთ და, რაც მთავარია — არგუმენტირებულად და პრინციპულად გავცეთ საკადრისი პასუხი. ახლა, როგორც ეს მუდამ ხდება ხოლმე გარდატეხის ჟამს, გამოცვივდა უამრავი „მოთავე", რომლებიც ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, სასწრაფოდ დაითრიონ თავიანთი წილი საკბილო და სახელი. ამასთან ზოგ-ზოგები ამჯობინებენ დაივიწყონ პარტიის ინიციატივა და ვაჟკაცობა გარდაქმნის განხორციელებაში და ისწრაფვიან, როცა კი მოახელთებენ, ჩირქი მოსცხონ მას, უფრო მეტიც, დააკარგვინონ საზოგადოების ხელმძღვანელის, ავანგარდის როლი.

თუკი ჩვენ გვინდა არა ტყუილნარევი, არამედ სრული სიმართლე, მაშინ ამთავითვე საჯაროდ უნდა ვუთხრათ ხალხს ეს სიმართლე და სააშკარაოზე გამოვიყვანოთ კერპები, რომლებიც ათასგვარი ხრიკით ცდილობენ შეიქმნან „სიმართლის ქომაგთა" კოლორიტული სახე. საზოგადოების ისტორიაში ყველა მომენტი ურთიერთდაკავშირებულია. ხოლო ყოველგვარ თავსმოხვეულ კულტს გარდაუვლად მოჰყვება დრო, როდესაც პასუხი უნდა აგო. ყოველივე ეს მოითხოვს კეთილსინდისიერ და ღრმა გააზრებას ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

პოპულარობისათვის ბრძოლა, დასძინა დასასრულ ორატორმა, საზღვარგარეთაც არის პოლიტიკური ბრძოლის ნაცადი მექანიზმი, ისევე როგორც მისი მეორე მხარე — მოწინააღმდეგეთა დისკრედიტაცია. გარდაქმნის დრომ შესაძლებლობა მოგვცა დავრწმუნებულიყავით, რომ საუცხოოდ შეგვძლებია მივბაძოთ საზღვარგარეთს და გამოვიყენოთ იგი ამ დარგშიც. გდლიანის ლიტერატურული „ვარჯიში" მიუნხენში გამომავალ ერთ-ერთ ჟურნალში ამის საუკეთესო მაგალითია. ვეღარ ვუხუჭავთ თვალს იმაზე, რომ საყოველთაო თათხვის ქინით შეპყრობილი ცრუმოთავე, მართლაც რომ წერას აუტანია და ვერ ხედავს, რა მოჰყვება მის დამანგრეველ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას „დამნაშავეობასთან ბრძოლის მტკიცე გაძლიერების შესახებ". მათი სააშკარაოზე გამოყვანა აუცილებელია. თორემ სხვაგვარად ვერ დავიცავთ გარდაქმნას, ვერ დავიცავთ ყოველი ჩვენგანის კანონიერ უფლებებსა და თავისუფლების ინტერესებს.

• • •

ორგანიზაციული საკითხის განხილვის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 75 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლეონიდე ერემიას ძე გორგილაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „კომუნისტის"
შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 სექტემბერს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 07204 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14